პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 305 (9465) | შაბათი, 27 დეკემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

განუწყვეტლივ ვზრუნავდეთ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნებია, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, **„მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“.**

ეს კანონი მკაფიო გამოხატულებას პოულობს იმ ყოველდღიურ ზრუნვაში, რომელსაც ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ბრძენი ბელადი — დიდი სტალინი იჩენენ საბჭოთა ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის.

ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების ამ ძირითადი კანონის საფუძველზე წყდება უდიდესი მნიშვნელობის სამეურნეო ამოცანები: შენდება გრანდიოზული ელექტროსადგურები, უდიდესი სანაოსნო და სარწყავი არხები, სისტემატურად მცირდება მასობრივი მოხმარების საგნების ფასები, ფართოდ ჩაღდება საბინაო მშენებლობა, განუწყვეტლივ დიდდება ხარჯები ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების საქმისათვის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის თვალსაჩინო მაჩვენებელია ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელი ზრდა. ამხ. გ. მ. მალენკოვმა საანგარიშო მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე აღნიშნა, რომ **„კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ნაციონალური შემოსავლის ნახევარზე მეტს ექსპლოატატორული კლასები ითვისებენ, საბჭოთა კავშირში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელთა კუთვნილებაა. სსრ კავშირის მშრომელებს მათი პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ეძლევათ ნაციონალური შემოსავლის 3/4, ხოლო დანარჩენი ნაწილი ხმარდება სოციალისტური წარმოების გაფართოებას და სხვა საერთოსახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საჭიროებებს“.**

სულ სხვა მდგომარეობაა კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც უაჩაღური მონოპოლიები ეწევიან მშრომელთა მხეცურ ექსპლოატაციას და ამ გზით ისწრაფვიან მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ, სადაც მილიონობით მშრომელი ქრონიკული უმუშევრობის, უსახლკარობისა და ინფლაციის მსხვერპლია. იმპერიალისტური სახელმწიფოების თითქმის მთელი ბიუჯეტები მიმართულია ახალი მტაცებლური ომის გაჩაღებისაკენ, რის გამოც შიმშილი, სიღატაკე მშრომელი მასების ყოველდღიური ხვედრია.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა მშრომელი ხალხის ნათელი და ბედნიერი ცხოვრებისათვის. მარტო ომისშემდგომ წლებში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აგებულია საცხოვრებელი სახლები 155 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობით, ხოლო სოფლად აშენდა 3,8 მილიონზე მეტი საცხოვრებელი სახლი. მშრომელებმა მიიღეს ფართო, ნათელი და კეთილმოწყობილი ბინები, აშენებულია ყველა ტიპის 368 ათასი ბიბლიოთეკა, ათეულ ათასობით კლუბი, ხოლო კინოდანადგარების რიცხვი 1939 წლის შემდეგ ერთისამად გადიდდა. მშრომელებს სრული შესაძლებლობა აქვთ დაისვენონ და კულტურულად გაერთონ მათთვის განკუთვნილ საუცხოო ბაღებსა და პარკებში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, თეატრებში, კლუბებში.

ამ მხრივ, კერძოდ, დიდი წარმატებებია მოპოვებული აფხაზეთში, სადაც უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში პარტიული ორგანიზაციების ფართო ორგანიზატორული საქმიანობის შედეგად ბევრი რამ გაკეთდა. ქალაქ სუხუმის ძირეული რეკონსტრუქცია, მისი გადაქცევა სანიმუშოდ კეთილმოწყობილ ქალაქად — მშრომელთა კეთილდღეობისათვის შეუნელებელი ზრუნვის შესანიშნავი მაგალითია.

ჩვენს ქვეყანაში ფასების შემცირების მეშვეობით რეალური ხელფასის ზრდასთან ერთად იზრდება მოსახლეობის მყიდველობითი უნარი. მშრომელები სახელმწიფოს ხარჯზე იღებენ სოციალური დაზღვევის დახმარებას და სოციალური უზრუნველყოფის პენსიებს.

საქართველოს რესპუბლიკაში მარტო პენსიების სახით 1949 წლიდან 1952 წლის პირველ ნახევრამდე გაიცა 1,3 მილიარდ მანეთზე მეტი. რესპუბლიკაში ფართო მასშტაბით გაიშალა კომუნალური მშენებლობანი, ფართოვდება კლუბების, ბიბლიოთეკების, კინოდანადგარების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. სწრაფი ტემპით გაჩაღდა საბინაო მშენებლობა, ქალაქების კეთილმოწყობა.

მიუხედავად ამისა, მშენებლობის ზოგიერთ უბანზე მაინც ვხვდებით ჩამორჩენას, უყაირათობას, დროულად არ სრულდება გეგმა, აუთვისებელი რჩება მშენებლობისათვის, კერძოდ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხები. მაგალითად, მუშაობის ცუდი ორგანიზაციის გამო საქმშენი თითქმის ორი წლის მანძილზე აჭიანურებდა 20-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას ქ. გორში. წელს აღნიშნული ობიექტი გადაეცა გორიმშენს, მაგრამ მუშახელის სმენირისა და ხე-ტყის უქონლობის გამო მისი დამთავრება კვლავ გაჭიანურდა.

მსგავსი ჩამორჩენა აქვს აგრეთვე ქუთაისმშენს, რომელმაც ვერ აითვისა თანხები და გეგმა ვერ შეასრულა.

საჭიროა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროებმა, სამშენებლო ტრესტებმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების კომუნალურმა განყოფილებებმა გააძლიერონ მუშაობა, წარმართონ იგი არა მარტო მშენებლობათა დროულად დამთავრებისაკენ, არამედ სამუშაოთა მაღალხარისხოვნად და იაფად შესრულებისკენაც. მათ არ უნდა დაივიწყონ ამხ. ა. ი. მგელაძის მითითება იმის შესახებ, რომ **„...საჭიროა ვაშენებდეთ არა საერთოდ, არამედ ვაშენებდეთ იაფად, კარგად, ლამაზად, მკვიდრად, საუკუნოდ“.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სახავს მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის ფართო პროგრამას.

ჩვენს რესპუბლიკაში მეხუთე სტალინური ხუთწლედის მანძილზე აიგება ახალი საცხოვრებელი სახლები 42.675 კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობით, გაუმჯობესდება ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება, გაფართოვდება წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი, კიდევ უფრო დამშვენდება და კეთილმოწყობილი გახდება ჩვენი დედაქალაქი — თბილისი.

ყოველივე ეს რესპუბლიკის კომუნალური და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელი ორგანოების, პარტიული ორგანიზაციების წინაშე სახავს ამოცანას — ახალ, გადიდებულ მოთხოვნილებათა შესაბამისად გარდაქმნან მუშაობა, გეგმიანად და ხარისხოვნად წარმართონ იგი, მთლიანად გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული ყველა შესაძლებლობა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებამ, რომელიც თანდათან ფართოდ ჩაღდება ჩვენს რესპუბლიკაში, კიდევ უფრო უნდა აამაღლოს საბჭოების მუშაობის დონე მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ოცი ახალი ინსტიტუტი

ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ მატულობს უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი. ამჟამად სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება ოც ახალ ინსტიტუტში, რომლებიც მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგისათვის.

ახალი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლები შექმნილია ტაგანროგში, რიაზანში, იჟევსკსა და ტომსკში, საქალაქო მეურნეობის ინჟინერთა ინსტიტუტი — სტალინგრადში, ზოოვეტერინარიის ინსტიტუტი — სემიპალატინსკში, სასოფლო-სამეურნეო — ქუთაისში. ენერგეტიკის აკადემია ექსპლოატაციისა და მშენებლობის ფაკულტეტებით შეიქმნა მოსკოვში. ჩვენი ქვეყნის 36 უმაღლეს სასწავლებელთან გახსნილია ენერგეტიკის, მშენებლობის, სასილიკატო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალისტთა მოსამზადებელი განყოფილებანი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამრეწველო თბოტექნიკისა და ელექტრომოწყობილობის ინჟინერთა მომზადება მოსკოვის, სვერდლოვსკის, ნოვოჩერკასკის, დნეპროპეტროვსკის უმაღლეს სასწავლებლებში.

საბჭოთა კავშირის ორმოცდაათ ქალაქში შენდება უმაღლესი სასწავლებლების შენობები. ასი მილიონი მანეთია გაღებული მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის შენობის გაფართოების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობისათვის. აქ აშენდება აუდიტორიების, ფუნდამენტალური ბიბლიოთეკისა და სასპორტო ქალაქის ახალი კორპუსები. სასწავლო და საცხოვრებელ შენობებს მიიღებენ ლენინგრადის, გორკის, სარატოვის, რიაზანის, კურსკისა და მინსკის უმაღლესი სასწავლებლები. უმაღლეს სასწავლებელთა შენობების ასაგებად გათვალისწინებულია მეხუთე ხუთწლედის ბოლომდე დაიხარჯოს ოთხ მილიარდ მანეთზე მეტი. (საკდესი).

„ლენინნავთის“ ტრესტმა შეასრულა წლიური გეგმა

ბაქო, 23 დეკემბერი. (საკდესი). დღეს „აზნავთის“ უდიდესი გაერთიანების „ლენინნავთის“ ტრესტის კოლექტივმა შეასრულა ნავთისა და გაზის მოპოვების წლიური გეგმა.

წელს ტრესტმა მნიშვნელოვნად გაადიდა ნავთის სადღეღამისო ამოღება.

მარგანეცი 1953 წლის ანგარიშში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელმა მაღაროელებმა თავდადებული შრომით ვადამდე შეასრულეს მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის პირველი ორი წლის დავალება. მაღაროელები კარგა ხანია 1953 წლის ანგარიშში იძლევიან მარგანეცს. კარგად მუშაობენ ლენინის, სტალინის, კაგანოვიჩისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები, რომლებმაც გარდა იმისა, რომ ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმები, საგრძნობლად გაზარდეს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება.

ცნობილმა სტახანოველებმა — პ. ბოყოველმა, პ. მირიტაძემ, კ. ღავთაძემ, გ. თოდაძემ, კ. ციხისელმა, მ. ჭუმბურიძემ, ნ. გაფრინდაშვილმა და ბევრმა სხვამ წელს ორ-ორი წლის გეგმები შეასრულეს.

ჭიათურელმა მაღაროელებმა მოძმე უკრაინის რესპუბლიკის ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის მაღაროელებს გაუგზავნეს საახალწლო წერილი, რომელშიც სწერენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე და მათ მომავალ წელს ახალ წარმატებებს უსურვებენ.

გეგმების შესრულება

საქართველოს კონსერვტრესტის საწარმოებმა წლიური გეგმა შეასრულეს მიმდინარე წლის 23 დეკემბრისათვის. დამზადებულია 40 ათასი ქილით მეტი კონსერვი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება გასაცემ ფასებში განაღდებულია 101 პროცენტით.

ტრესტის ყველაზე მსხვილმა საწარმომ — ქუთაისის საკონსერვო ქარხანამ 21 დეკემბრისათვის უზრუნველყო წლიურ დავალებათა ვადამდე შესრულება, ხოლო სუხუმის ქარხანამ მომავალი წლის ანგარიშში 700 ათასი ქილა კონსერვი გამოუშვა.

მეკონსერვეებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ 1.200 ათასი ქილა კონსერვი.

* * *

თბილისის ა. მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატმა საერთო პროდუქციის დამზადების წლიური გეგმა 23 დეკემბრისათვის 100,1 პროცენტით გაანაღდა.

კომბინატის კოლექტივმა იკისრა დეკემბრის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.300 ათასი მანეთის ხორცის პროდუქტები.

ბეჯითი შრომის ნაყოფი

სტალინირი. (საკ. კორ.). სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სერიოზული ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობას. კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში გეგმით გათვალისწინებული 840-ის ნაცვლად 860 სული ჰყავთ. მაღალნაყოფიერი შრომით ბევრმა მეცხოველემ ისახელა თავი. მოწინავეთა რიგებშია მეძროხეობის ფერმის მწველავი დ. ბერუაშვილი, რომელსაც მოსავლელად რვა ძროხა ჰყავს მიჩენილი. მან წელს ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა ძროხების წველადობის დავალება. ერთმა ძროხამ სეზონის განმავლობაში 1.244 კილოგრამი რძე მოიწველა, მეორემ — 5.214 კილოგრამი. ახლა მოწინავე მწველავი თავის გამოცდილებას ფერმის სხვა მუშაკებს უზიარებს.

კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში, რომელსაც ამხ. ი. ბორცვაძე ხელმძღვანელობს, ორასამდე ღორი ჰყავთ. წელს ერედვში ფერმისათვის ააგეს ახალი კაპიტალური შენობა. მოწინავეა კოლმეურნე ნატო ცოტნიაშვილი. მან თავის ამხანაგებთან ერთად 268 გოჯი გაზარდა.

მიცხოველეობის ფერმებში ფართოდ ნერგავენ მექანიზაციას, რაც ახალ წარმატებათა საფუძველს ქმნის.

საბჭოთა საქართველოში



ჩვენი რესპუბლიკის წარმოების მოწინავე მუშები ახალი შრომითი მიღწევებით ამთავრებენ 1952 წელს. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს წლიური გეგმები და დიდძალ ზეგეგმით პროდუქციას უმზადებენ საყვარელ სამშობლოს. სურათზე: 1. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველი ხარატი მ. მამაგეიშვილი (მარცხნივ) და მოწინავე მღარავი ხ. პაპინაშვილი, რომლებმაც წელს 2-2 წლის ნორმა გამოიმუშავეს, 2. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მეფოლადეები შ. კუხალეიშვილი (მარცხნივ) და ა. ფანცულაია. მეფოლადე შ. კუხალეიშვილმა წელს განახორციელა 91 ჩქაროსნული დნობა, ხოლო ა. ფანცულაიამ — 75.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

შემოქმედებითი შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ

„პრავდის“ 26/XII მოწინავე

ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან მოდის საბჭოთა ადამიანის აღმაფრთოვანებელი სასახარულო ცნობები 1952 წლის გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ. მეტალურგები და მეშახტეები, ნავთის მრეწველობის მუშაკები და მშენებლები, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები იტყობინებიან, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავიანთ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში.

მრავალმა ათასმა საწარმომ ვადამდე შეასრულა მეხუთე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის დავალებანი. წლიური გეგმის შესრულება დაამთავრეს მოსკოვის ქარხნების „დინამოს“, „კრასნი პროლეტარის“, „კომპრესორის“, ლენინგრადის კუიბიშევის სახელობის ქარხნის, ქარხანა „ელექტრიკის“ და მრავალი სხვა საწარმოს კოლექტივებმა. წლიური გეგმის გადამეტებით ადნობენ თუჯს მაგნატოგორსკის მებრძმედეები, უშვებენ ელექტროენერგიას დნეპრჰესის მუშაკები, იღებენ ქვანახშირს დონბასის ბევრი შახტის მაღაროელები, იღებენ ნავთს ბაქოს უდიდესი ნავთის ტრესტების კოლექტივები.

ამ შესანიშნავი შრომითი წარმატებებით მკაფიოდ არის გამოხატული საბჭოთა ადამიანების — თავიანთი ცხოვრების სრულუფლებიან ბატონ-პატრონთა, კომუნიზმის შემოქმედთა და მშენებელთა მეზნებარე პატრიოტიზმი. საბჭოთა წყობილებამ პირველად გაათავისუფლა ხალხის დიდი ძალები, ცხოვრების ახალრეზზე გამოიყვანა მასების მძლავრი აქტივობა და დაუშრეტელი ინიციატივა. ლენინ — სტალინის პარტია ჩვენს ხალხს აღფრთოვანებს და რაზმავს შრომითი ხაგმირო საქმეებისათვის, ერთიანი მიზნისაკენ წარმართავს მის შემოქმედებითს ენერგიას.

1952 წელი აღინიშნა დიდი წარმატებებით კომუნისტურ მშენებლობაში. ეს იყო საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის შესანიშნავ გამარჯვებათა წელი. ამხანაგ სტალინის გენიალურმა ნაწარმოებმა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, პარტიის XIX ყრილობაზე მისმა სიტყვამ, ყრილობის ისტორიულმა გადწყვეტილებებმა გვიჩვენეს ჩვენი ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა მამოძრავებელი ძალები და რევოლუციური თეორიის მკაფიო შუქით გაუნათეს მას კომუნიზმისაკენ წინსვლის გზა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ **„მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა,—ესაა სოციალისტური წარმოების მიზანი; უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა,—ესაა ხაშუალება მიზნის მისაღწევად“.**

განვლილ 1952 წელს, ისევე როგორც წარსულ წლებში, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკა იზრდებოდა და წარმატებას აღწევდა, გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა, რითაც მთელ მსოფლიოს უჩვენებდა თავის დიდ სასიცოცხლო ძალას. საბჭოთა ხალხის სიამაყესა და სახარულს იწვევს ის ღირსშესანშნავი ფაქტი, რომ ჩვენი მსხვილი მრეწველობა ამუამად ყოველ ცხრა დღეში იმდენ პროდუქციას აწარმოებს, რამდენსაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ რუსეთი აწარმოებდა მთელი წლის განმავლობაში. მანქანათმშენებლობის საერთო პროდუქცია წელს ორმოცი და მეტი პროცენტით იზრდება 1950 წელთან შედარებით.

საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით აგებს გიგანტურ ჰიდროელექტროსადგურებსა და არხებს, გარდაქმნის ჩვენი ქვეყნის უდიდესი რაიონების ბუნებას, სიუხვის აყვავებულ ველებად აქცევს გვალვიან უდაბნოებს. წელს მწყობრში ჩადგა კომუნიზმის მშენებლობათა პირმშო — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. 1952 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება იზრდება 29 პროცენტით 1950 წელთან შედარებით. საბჭოთა კავშირის ელექტროსადგურები ახლა მარტო ერთ თვეში იმდენ ელექტროენერგიას უშვებენ, რამდენსაც რევოლუციამდელი რუსეთის ელექტროსადგურები ხუთი წლის განმავლობაში უშვებდნენ.

დიდი წარმატებებია მიღწეული სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. ჩვენი მიწათმოქმედება სულ უფრო კვალიფიციური და პროდუქტიული ხდება, სულ უფრო მეტ პროდუქციას უშვებს. წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა შეადგინა 8 მილიარდი ფუთი, ხოლო ვალებზე ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის საერთო მოსავალი 48 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით. ომამდელ დონეს გადააჭარბა მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციამ.

სოციალისტური წარმოება ვითარდება უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე. 1952 წელს კიდევ უფრო გაიზარდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მშენებლობის აღჭურვა უახლესი ტექნიკით, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს წარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, შემსუბუქდეს შრომა და უზრუნველყოფილ იქნას მისი ნაყოფიერების შემდგომი გადიდება.

სოციალისტური ეკონომიკის განუხრელი აღმავლობის საფუძველზე უმჯობესდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და მაღლდება მისი კულტურული დონე. წლითიწლობით მატულობს ნაციონალური შემოსავალი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა კუთვნილებას წარმოადგენს. მომდინარე წლის აპრილში განხორციელებულმა სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო ფასების ომისშემდგომმა მეხუთე შემცირებამ უზრუნველყო მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის შემდგომი გადიდება და სამრეწველო საქონლის ყიდვაზე გლეხთა ხარჯების ეკონომია. უდიდესი მასშტაბით წარმოებს საბინაო და კომუნალური მშენებლობა, განუწყვეტლივ იზრდება სახელმწიფო ასიგნმანი ხალხის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლებისათვის. წარმატებით ვითარდება საბჭოთა მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება.

ლენინ — სტალინის პარტია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას წარმართავს იმ გზით, რომ უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა, საბჭოთა საზოგადოების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. ამის მკაფიო გამოხატულებაა პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ ხუთწლიანი გეგმის შესრულება წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე.

კომუნიზმი შენდება როგორც მშრომელთა მილიონიანი მასების შეგნებული შემოქმედების შედეგი. ეს შემოქმედება ვლინდება საბჭოთა ადამიანების დაუშრეტელი ინიციატივით, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრებით მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. სოციალისტური შეჯიბრება ავლინებს შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობის უდიდეს რეზერვებს, წარმოშობს სულ ახალ და ახალ ნიჭიერ მოწინავეებს ხალხის მასების წიაღიდან. 1952 წელს ჩვენმა ქვეყანამ შეიტყო წარმოების ბევრი და ბევრი ნოვატორის სახელები. საბჭოთა პატრიოტები გულმოდგინედ ეძებენ და იყენებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების სულ ახალ შესაძლებლობებს.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიადი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა, ლენინ — სტალინის პარტიის ბრძნული პოლიტიკა, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომა შესანიშნავ პერსპექტივებს უსახავს სოციალიზმის ქვეყანას. ჩვენი სამშობლო ძალღონით აღსავსეა და ახალი წარმატებებისაკენ მიდის. საბჭოთა ხალხი, სარგებლობს რა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სიკეთით, მტკიცედ იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას — მშვიდობისა და უშიშროების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას — მხურვალედ თანაუგრძნობს და მხარს უჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა. საბჭოთა ხალხის ხმა მშვიდობის დასაცავად კვლავ და კვლავ გაისმა ამას წინათ მშვიდობის მომხრეთა მეოთხე საკავშირო კონფერენციისა და ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესის ტრიბუნიდან.

საბჭოთა ხალხთან ერთად სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში წარმატებას წარმატებაზე აღწევენ, მასთან ერთად მშვიდობას იცავენ, მშვიდობისათვის იბრძვიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები. მეგობრობისა და თანამშრომლობის ურღვევი კავშირით გაერთიანებული დემოკრატიული ბანაკის ხალხები დარწმუნებული არიან თავიანთ ძალებში, იყრდნობიან მშვიდობიანი მშენებლობის წარმატებებს და ურყევი სიმშვიდითა და რწმენით ეგებებიან ახალ წელს.

საბჭოთა ხალხმა მტკიცედ იცის: მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს საბჭოთა საზოგადოების ძლევამოსილი წინსვლა. ჩვენი საქმე უძლეველია. დიდი სოციალისტური სახელმწიფო თავისი გზით მიდის, მასზე გავლენას ვერ ახდენს ვერც პროვოკაციები, ვერც დაშინება, და კომუნიზმის მშენებლობის საქმეში 1952 წელს მოპოვებული ახალი ისტორიული გამარჯვებანი კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევენ საბჭოთა პატრიოტების გულში.

სულ სხვა სურათი და სხვა განწყობილებაა ახალი წლის წინ კაპიტალის ქვეყნებში. სამხედრო წარმოების გაბერვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში გარდუვალად იწვევს ახალი ღრმა ეკონომიკური კრიზისის გაძლიერებას. მთელი კაპიტალისტური სამყაროს დამახასიათებელი განწყობილება გამოხატულია შვედური გაზეთის „სტოკჰოლმს-ტიდნინგენის“ ასეთ მწარე სიტყვებში: „დასავლეთში ამჟამად არ არის არც მშვიდობა, არც სიმშვიდე. ყველა ქვეყანა შეშფოთებულია შორეულ აღმოსავლეთში წარმოებული ომებით. მომავალიც შეშფოთებას იწვევს“.

იმპერიალისტები კაპიტალისტური სისტემის გამწვავებული წინააღმდეგობებიდან გამოსავალს ეძებენ ახალი მსოფლიო ომის მომზადებისა და გაჩაღების გზებზე. ამ საფრთხის გამო ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი აძლიერებს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლას. მშვიდობის დაცვის მძლავრი მოძრაობის პირველ რიგებშია საბჭოთა კავშირი — დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ურყევი ბურჯი.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ ამხანაგ სტალინის გენიალური მოძღვრებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი დამშვიდებით და მტკიცე რწმენით ეგებება ახალ, 1953 წელს — ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გასამარჯვებლად მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის წელს.

გამომგონებელთა და რაციონალიზაჟორთა კონკურსი

სამი თვის განმავლობაში სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებში მიმდინარეობდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კონკურსი. ამ ხნის განმავლობაში შემოვიდა 4.860 წინადადება, რომელთა მიზანია მანქანების დამზადების ტექნოლოგიის გაუმჯობესება, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა და მაღალი წარმადობის ხელსაწყოებითა და ინსტრუმენტებით ქარხნების აღჭურვა. 2.045 წინადადების განხორციელებამ სახელმწიფოს წელიწადში 12 მილიონ მანეთზე მეტი დაუზოგა.

პირველი პრემია კონკურსის შედეგების მიხედვით მიეკუთვნათ ჩელიაბინსკის საგზაო მანქანების ქარხნის, მეორე პრემია ვორონეჟის საექსკავატორო ქარხნის, მესამე — კალინინის საექსკავატორო ქარხნის რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს.

(საკდესი).

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

უკეთ ვიმუშაოთ 1953 წელს

ქუთაისის ოლქმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის ოლქი

სოფლის მეურნეობის მუშაკთა საოლქო შეკრებაზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში შედგა ქუთაისის ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება, რაიონების პარტიული, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობით.

შეკრებაზე მოხსენება „ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანები 1953 წელს“ გააკეთა ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ს. საყვარელიძემ.

ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს ბრძენი ბელადი — ამხანაგი სტალინი. ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჩატარებულ თათბირზე დაისახა სერიოზული ღონისძიებანი მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის. თათბირზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ მევენახეობის მუშაკთა წინაშე დააყენა სერიოზული ამოცანები, რომელთა წარმატებით შესრულება მოითხოვს თავდადებულ შრომას. მევენახეობა ქუთაისის ოლქის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მისი შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახებში საჭირო სამუშაოთა დროზე და ხარისხიანად შესრულებას. თვალსაჩინო სამუშაო უნდა განხორციელდეს ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. წლების მანძილზე არ სრულდება რემონტის გეგმა. ოლქში ვენახების რემონტის 1952 წლის დავალება განაღდებულია მხოლოდ 64,7 პროცენტით. მთელ რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ვენახების მოვლის აგროტექნიკა, დროულად არ ეწყობა ნიადაგის გადაბარვა, სასუქების შეტანა, გათოხნა, კულტივაცია და სხვ. ამასთან, ცუდი მდგომარეობაა ვენახების დაცვის მხრივ. ამის გამო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარე წელს მიღებულია ყურძნის ძალიან მცირე მოსავალი.

მომხსენებელმა ილაპარაკა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების გაშენებისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ოლქმა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ვერ შეასრულა. სერიოზული ჩამორჩენაა ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების საქმეში.

თათბირზე სიტყვით გამოსულმა პარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანმა ამხ. ზ. კიკნაძემ თქვა, რომ კოლმეურნეობებში ყურძნის დაბალი მოსავლის მიღების მიზეზია აგროტექნიკის უგულებელყოფა. ამხ. კიკნაძემ საოლქო თათბირს პირობა მისცა, რომ კოლმეურნენი გამოასწორებენ ვენახების მოვლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს და 1953 წელს მიიღებენ ყურძნის მაღალ მოსავალს.

პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. კუჭავამ სამართლიანად ცნო კრიტიკა რაიონის ჩაის ახალგაზრდა პლანტაციების მოვლის საქმეში ჩამორჩენის შესახებ და აღნიშნა, რომ უკვე მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ა. გობრონიძე (პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი), ვ. ჩაკვეტაძე (ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), გ. მამალაძე (პარტიის ჩოხატაურის რაიკომის მდივანი), ვ. ხოჯავა (წულუკიძის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი), ი. ჩხაიძე (ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი), მ. ავალიანი (პარტიის წყალტუბოს რაიკომის მდივანი), გ. შეროზია (წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი), მ. ორაგველიძე (მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), გ. ქართველიშვილი (საოლქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური კულტურების სამმართველოს უფროსი), ა. ჩიქვინიძე (მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე).

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე.

ამხ. ბალავაძე თათბირის მონაწილეთა ყურადღებას ამახვილებს 1953 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდების საკითხებზე და განსაკუთრებით მევენახეობის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებზე. ჩვენ, — ამბობს იგი, — ოლქის მევენახეთა სახელით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს პირობა მივეცით, რომ 1953 წელს თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ სულ მცირე 50 ცენტნერ ყურძენს მივიღებთ. ეს ვალდებულება პირნათლად უნდა შევასრულოთ.

ამხ. ბალავაძემ ილაპარაკა იმ კონკრეტულ ამოცანებზე, რაც ოლქის წინაშე დგას ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში და მოუწოდა დამსწრეებს არ დაიშურონ ძალა და ენერგია მეხუთე სტალინური ხუთწლედით დასახული ამოცანების განსახორციელებლად, წარმატებით გაანალღონ სოფლის მეურნეობის განვითარების 1953 წლის გეგმა.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს **მიმართვა თბილისის ოლქის მევენახე კოლმეურნეებისა, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების მშრომელებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი 1953 წელს ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის თბილისის ოლქის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის შესახებ.**

რაიონულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთში მოეწყო რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საუკეთესო ნიმუშები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან.

ყურადღებას იპყრობდა ვაზი, ჩაის ბუჩქი, ხილი, ბაღჩეული და სხვ. რაიაბრეშუმმა გამოფენაზე წარადგინა მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი და უხვმოსავლიანი „ქართული თუთის“ ნარგავები.

ცალკეულ ექსპონატებს შორის აღსანიშნავია სოფელ კვახჭირის კოლმეურნეობის ძროხა „რეკორდი“, რომელიც 725 კილოგრამს იწონის.

გამოფენაზე საუკეთესო ექსპონატების გამოტანისათვის პირველი და მეორე ფულადი პრემიები მიეცათ: სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის, ამავე სოფლის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობათა მეჩაიეებს ც. მეტრეველსა და ლ. მაღლაფერიძეს; სოფელ საყულიის კოლმეურნეობის ჯიშიანი ძროხების მომვლელს გ. კაშიას, კვახჭირის კოლმეურნეობის ფერმის ბუღა-მწარმოებლის მომვლელს ი. ახვლედიანს, გეგუთის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეს ქ. ხმელიძეს. ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე კოლმეურნეებს მ. მამრიკიშვილს, შ. მამისეიშვილს, ქ. გონგაძეს, ტ. ბანძელაძეს და რაიონის სხვა მოწინავე კოლმეურნეებს.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ხუთი ათასამდე კაცმა დაათვალიერა.

ქარხანა კაღრებს ამზადებს

დმანისი. (საკ. კორ.). სოფელ ზემო ყარაბულახის ყველის მექანიზებულმა ქარხანამ ვადაზე ერთი თვით ადრე — 1 დეკემბრისათვის 109 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა, აქედან კარაქისა — 122 პროცენტით და სხვადასხვა სახეობის ყველისა — 105 პროცენტით. ქარხნის კოლექტივი იბრძვის ივისათვის, რომ წლის ბოლომდე გამოუშვას კიდევ 3 ტონა კარაქი და 8 ტონა ყველი.

ქარხანასთან (დირექტორი მ. მაჩიძე) არსებობს სპეციალისტთა მოსამზადებელი ორწლიანი რესპუბლიკური სკოლა, რომელიც ამზადებს კადრებს ყველ-კარაქის ქარხნებისათვის.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სკოლამ 140 ოსტატი და ოსტატის თანაშემწე მოამზადა. სკოლადამთავრებული ი. გონჩაროვი ოსტატად მუშაობს ამავე ქარხანაში, ხოლო ქ. გოგოლაძე — ოსტატის თანაშემწედ.

ჰიმნი საბჭოე თარგმნილი

★

იოჰანეს ბეხერი

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“
საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი.

★

ბარბაროსებთან ბრძოლაში
დგეხარ გულდაუღრეჯელელი,
აუღებელი სიმაგრე,
სამშობლო თავისუფლების.
შორს სწვდება შენი საზღვრები,
ხალხთა ოცნებავ დიადო,
თვალგადაუწვდენ სივრცეზე
შენი ვარსკვლავი კიაფობს.

შენა ხარ ჩვენი იმედი,
ჩვენი სიმტკიცის კედელო,
მძლავრად ჭიერს შენი სიტყვები,
სიმართლის მქადაგებელო!
დიდი სტალინის თვალებში
ვკითხულობთ იმედს ხვალისას,
ის ხომ ყოველთვის წინ გვიძღვის,
ვით შუქი მომავალისა.

ჩვენი ტვინი და გული ხარ,
მეგზურად წარმოვლენილი,
შენ იმ დიდ გზაზე მიდიხარ,
რომ გვითითებდა ლენინი.
ჩვენი სიცოცხლის აზრი ხარ,
ნათელო—თვალცისკრიანო,
მომავლის დიდო სიმღერავ,
ჩვენც გვსურს შენი გზით ვიაროთ.

გაჭირვებულთა იმედო,
შუქს გვაფრქვევს შენი ყანები,
შენს ძლიერებას უფრთხიან
ბნელეთის ყველა ძალები.
და შენმა წმიდამ, დიადმა
ბრძოლებმა საკაცობრიომ
გაანადგურა წყვდიადი,
დაიხსნა მთელი მსოფლიო.

თარგმანი გერმანულიდან ვახტანგ გეწუკელისა.

მოსკოვის მეტროს დიდ რკალზე

მთავრდება მუშაობა ახალი მიწისქვეშა სახახლის — მოსკოვის მეტროს დიდი რკალის სადგურ „კრასნოპრესნენსკაიას“ ასაგებად.

უკვე გაყვანილია სადგურის სამი გვირაბი, გასასვლელები ცენტრალური სადგურებიდან ბაქნებისაკენ. მთავრდება გვირაბები ამ სადგურიდან სადგურ „კიევსკაია-კოლცევაიამდე“. 6 დეკემბერს დამთავრდა გვირაბი სადგურ „ბელორუსკაია-კოლცევაიამდე“ და სხვ.

სექტემბერში მოსკოვის არქიტექტურული ინსტიტუტის ახალგაზრდა კურსდამთავრებულებმა ვ. ეგერევმა, მ. კონსტანტინოვმა, თ. ნოვიკოვმა და ი. პოკროვსკიმ დამთავრეს მეტროს ამ სადგურის არქიტექტურული პროექტის დამუშავება. ამჟამად ეს პროექტი უკვე ხორციელდება. სადგურის გაფორმების თემაა რუსეთის მუშათა კლასის სახელოვანი რევოლუციური წარსული, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების ისტორიული გამარჯვებანი.

ცენტრალურ დარბაზში თაღებს ამკობენ სკულპტურული პანოებით, რომლებიც ასახავენ გმირულ ბრძოლებს პრესნიაზე 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. დარბაზის ყველაზე დიდი პანო მიძღვნილია დიდი ოქტომბრისადმი. მის ცენტრში მოთავსებულია დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მონუმენტური გამოსახულებანი.

სადგური „კრასნოპრესნენსკაია“, რომელიც მოსკოვის მეტროპოლიტენის ერთ-ერთი ულამაზესი სადგური იქნება, მალე ჩადგება მწყობრში.

ამჟამად მოსკოვის მეტროს მშენებლები ამთავრებენ დიდი რკალის ტრასს. დიდ რკალს ექნება 12 სადგური, რომელთაგან 10 უკვე მუშაობს, მე-11 არის „კრასნოპრესნენსკაია“ და მე-12 — „კიევსკაია-კოლცევაია“. ამ სადგურზე ოქტომბრის დღესასწაულისათვის დამთავრდა ცენტრალური დარბაზის კონსტრუქცია. ამჟამად სადგურის გვერდითს გვირაბებში ლიანდაგებს ქვეშ წარმოებს ბეტონის საფუძვლის დაგება. მეტრომშენის მოზაიკოსებმა დაიწყეს პირველი დეტალების ჩაწყობა მხატვრულ მოზაიკურ ფრიზში.

1953 წლის დასაწყისში მწყობრში ჩადგება მოსკოვის მეტროს დიდი რკალის უკანასკნელი უბანი. (საკ. კორ.).

წერილები რედაქციას

რა აკლია ცხაკაიას სადგურს

ქ. ცხაკაიას აქვს კარგი, კეთილმოწყობილი რკინიგზის სადგური, მაგრამ მასში ყველაფერი როდია რიგზე. სადგურის ბაქანი ღამდამობით სუსტადაა განათებული, ხოლო უკანა მოედანი ხშირად სულ დაბნელებულია.

ცხაკაიას რკინიგზის სადგური საკვანძოა და აქ ბევრი მგზავრი იყრის თავს. ისინი სამართლიანად უსაყვედურებენ სადგურის ხელმძღვანელობას უსინათლობის გამო. საჭიროა ამ საქმეს სერიოზული ყურადღება მიექცეს.

გ. გულუა.

ერთი პასუხის გამო

დიდი და საპატიო ამოცანები აკისრიათ კავშირგაბმულობის მუშაკებს, რომელთა ვალია მზრუნველობით მოემსახურონ მშრომელებს. მაგრამ ისინი ყოველთვის არ დგანან ამ საპატიო მოვალეობის სიმაღლეზე. არის ადრესატებისათვის საფოსტო გზავნილების დაგვიანებით ჩაბარების ფაქტები. დავასახელებთ მხოლოდ ერთ ფაქტს.

ჩვენი გაზეთის მკითხველი მოქალაქე რ. კალმახელიძე გვატყობინებდა, თბილისიდან ამა წლის 21 და 22 აგვისტოს ონის რაიონის სოფელ ქაშქვაში ფოსტით გაგზავნილი ფული ადრესატს დაგვიანებით, 10 სექტემბერს ჩაბარდაო. წერილის ავტორი სამართლიანად მოითხოვდა ამ საქმეში დამნაშავეთა დასჯას.

ეს მასალა რედაქციამ ზომების მისაღებად სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს საქართველოს სარწმუნებულოს გადაუგზავნა. მოსალოდნელი იყო, რომ ამ საქმეში კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ ზომებს მიიღებდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. კავშირგაბმულობის საფოსტო განყოფილების უფროსის ამხ. დავითაშვილის ხელმოწერით რედაქციამ მიიღო ზერელედ შედგენილი პასუხი, რომელშიც უბრალოდ გამეორებულია ის, რასაც წერილის ავტორი გვატყობინებდა, ხოლო დამნაშავეთა მიმართ მიღებული ზომების შესახებ არაფერია ნათქვამი. აი მომართვის სრული ტექსტი: „...ორი ფულის ბარათები № 2551, მ/წ. 2 აგვისტოდან 100 მან. და № 3082 მ/წ. 22 აგვისტოდან 200 მან. მიმართული სოფელ ქაშქვაში, კალმახელიძეს სახელზე, განაღდებულია მ/წ. 10 სექტემბერს პირადად ადრესატებზე. პირადობის მოწმობებს ადასტურებს სოფ. ქაშქვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩაგელიშვილი“. (სტილი დაცულია. — **რედ.**).

ეს ფაქტი მკაფიოდ მეტყველებს კავშირგაბმულობის ზოგიერთი მუშაკის უპასუხისმგებლობას, მშრომელთა საჩივრებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას.

პარტიულ თემაზე

გავაძლიერეთ საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებში, ყრილობის საბოლოო სხდომაზე ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვაში და მის ახალ გენიალურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მოცემულია კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომლის განხორციელება პარტიული ორგანიზაციების სისხლხორცეულ საქმეს წარმოადგენს.

ამხანაგმა კ. მ. მალენკოვმა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობისადმი ხაზგასმით აღნიშნა, რომ „იდეოლოგიური მუშაობა პარტიის პირველხარისხოვანი მოვალეობაა და ამ მუშაობის შეუფასებლობას შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს“.

ჩვენში გაბატონებული სოციალისტური იდეოლოგიის საფუძველს მარქსიზმ-ლენინიზმი წარმოადგენს, რომლის დაუფლების გარეშე შეუძლებელია პარტიის წევრებისა და პარტიის წევრობის კანდიდატების მოწინავე როლის გაძლიერება, მათი შემდგომი აქტივიზაცია, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესება. როგორც ცნობილია, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ იდეოლოგიური მუშაობის დავიწყებამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას.

მუშაობდნენ რა ძველი ხელმძღვანელობისათვის ჩვეული მანკიერი სტილით, ქვემო სვანეთის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა სრულიად მიივიწყეს კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საჭიროება, დაბალი იყო პოლიტსკოლებისა და წრეების მეცადინეობის ხარისხი, ისინი ცუდად იყვნენ დაკომპლექტებული, ხშირი იყო მსმენელთა მიერ მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები. საკმაო დახმარება და კონტროლი არ ეწეოდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს.

ძლიერ ჩამორჩებოდა პარტიული მუშაობის ისეთი უმნიშვნელოვანესი უბანი, როგორიც არის საagიტაციო მუშაობა მოსახლეობაში. საagიტაციო-მასობრივი მუშაობის მკვეთრად შესუსტებამ უარყოფითი კვალი დაჩნია რაიონის სამეურნეო საქმიანობას. საკოლმეურნეო მეცხოველეობის მუშაკები სუსტად იცნობდნენ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე, არავინ რაზმავდა მათ ამ საქმისათვის. ამან კი ის შედეგი გამოიღო, რომ ბევრგან პირუტყვს ცუდად უვლიდნენ, გაზრდა პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განახლებულმა ხელმძღვანელობამ, გააჩაღა რა შეურიგებელი ბრძოლა ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომების ლიკვიდაციისათვის, პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ყველა უბანზე კვლავ სისხლსავსე გახადა.

პარტიის ქვემო სვანეთის რაიკომი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა კომუნისტებისა და უპარტიო მშრომელების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის.

მიმდინარე სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში უფრო ორგანიზებულად დაიწყო. დროზე დაკომპლექტდა პოლიტსკოლები და წრეები, მნიშვნელოვნად გაეუმჯობესეთ პროპაგანდისტთა კადრების შემადგენლობა, მეცადინეობა ორგანიზებულად დაიწყო. რაიონში მუშაობს 15 პოლიტსკოლა, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 3 წრე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის 7 წრე და მაღალი ტიპის 2 წრე, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა აქტივის ოთხი მუდმივმოქმედი სემინარი. პროპაგანდისტების თეორიული დონის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის დიდ როლს ასრულებენ პროპაგანდისტთა სემინარები, რომელთა მეცადინეობა სისტემატურად იმართება. პარტიული განათლების სისტემაში ჩაბმულია ყველა კომუნისტი და უპარტიო აქტივისტების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

კარგად დაიწყო მუშაობა რცხმელურის სასკოლო პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელმა წრემ, რომლის პროპაგანდისტია ამხ. ც. ტვილდიანი. წრეში მეცადინეობა სისტემატურად მიმდინარეობს, მეცადინეობაზე პროპაგანდისტი და მსმენელები მომზადებული ცხადდებიან, იმართება აზრთა ცხოველი გაცვლა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ქვემო სვანეთის რაიგანყოფილების პარტორგანიზაციასთან არსებული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრის პროპაგანდისტი ამხ. ვ. მუსელიანი მეცადინეობას სისტემატურად და მომზადებულად ატარებს. პროპაგანდისტი მიმართავს თვალსაჩინოებას, იყენებს დამხმარე ლიტერატურას და სამეცადინო თემებს უკავშირებს მიმდინარე მომენტის ცალკეულ საკითხებს. მუშაობის ასეთ მეთოდს მეტი სიცხოველე შეაქვს მეცადინეობაში და ამიტომ მასალის შეთვისება სავსებით დამაკმაყოფილებელია.

შარშანდელთან შედარებით წელს კომუნისტების პოლიტიკური სწავლების საქმე უკეთ მოაწყეს სასაშის (მდივანი ამხ. მ. ონიანი), მუწდის (მდივანი ამხ. შ. ხაბულიანი) საკოლმეურნეო და ხოფურის ტერიტორიულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

მაგრამ რაიონის მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ამ მხრივ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ. უმგულის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაში პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ე. კაკრიაშვილისა და პროპაგანდისტ ამხ. ჭ. ლიპარტელიანის დაუდევრობითა და უპასუხისმგებლობით პირველი მეცადინეობა ჩაიშალა, ხოლო ლეუშერის, ჩიხარეშის, შკედისა და მელეს საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ პოლიტსკოლებში პირველ მეცადინეობებს არ დასწრებია კომუნისტთა უმრავლესობა. ასეთი ფაქტები ამ პოლიტსკოლებში შემდეგშიც გრძელდებოდა.

ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დამოუკიდებლად სწავლების საქმე. რაისაბჭოს აღმასკომის, ლენტეხის საშუალო სკოლის, რაისამომხმარებლო კოოპერაციის პირველადი პარტიული ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ, კონტროლსა და საკმაო დახმარებას არ უწევენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. ამის შედეგად ინდივიდუალური გეგმებით გათვალისწინებული მასალა შეუსწავლელი რჩება.

მუშაკი, რომელსაც სურს თავისი მოვალეობა კარგად შეასრულოს, სისტემატურად უნდა იმაღლებდეს თეორიული ცოდნის დონეს, დაჟინებით ეუფლებოდეს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიას. არ უნდა დავივიწყოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის მითითება: „წარმატებით რომ უხელმძღვანელო, უნდა გქონდეს წინასწარხედვის უნარი, წინასწარხედვა კი ნიშნავს მუშაობდე პერსპექტივით, ითვალისწინებდე ხვალინდელ დღეს. სწორედ ამიტომ პარტია, ამხანაგი სტალინი მუდამ მოითხოვენ, რომ ჩვენი კადრები განუწყვეტლივ მუშაობდნენ თავიანთი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის, მოგვაგონებენ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუუფლებლად, პოლიტიკური ჩამორჩენილობის დაუძლეველად კარგად მუშაობა თანამედროვე პირობებში შეუძლებელია“.

მასების კომუნისტური აღზრდის ნაკად მეთოდს წარმოადგენს აგიტაცია.

რაიონის უმრავლესმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გააჩაღეს მოსახლეობაში საagიტაციო-მასობრივი მუშაობა. სოფელ მუწდის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მიერ საagიტაციო-მასობრივი მუშაობის კარგად მოწყობამ ის შედეგი გამოიღო, რომ ამ კოლმეურნეობამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის გამრავლებისა და მისი პროდუქტიულობის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა.

მაგრამ ასე როდია ყველგან. სოფელ რცხმელურის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია, რომლის მდივანია ამხ. ჭ. ტვილდიანი, საკმაო ყურადღებას არ აქცევს პოლიტიკურ აგიტაციას და კოლმეურნეთა შორის აღმზრდელობითს მუშაობას. შემთხვევითი როდია, რომ აქ კოლმეურნეთა 38 პროცენტს გამომუშავებული არა აქვს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, კოლმეურნეობაში დაბალია მოსავლიანობა. არ სრულდება მეცხოველეობის სულადობის და პროდუქტიულობის გეგმები. ასეთივე მდგომარეობაა ჭველიერის კოლმეურნეობაში.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები და კინოთეატრი. სარაიონო კულტურის სახლი და სასოფლო კლუბები იშვიათად აწყობენ საღამოწარმოდგენებს, კონცერტებს, თვეობით არ უჩვენებენ კინოსურათებს კოლმეურნე მოსახლეობას და სხვ.

სათანადო სიმაღლეზე არა დგას რაიონში ლექციური პროპაგანდა. რაიონის კოლმეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში შემთხვევიდან შემთხვევამდე იკითხება ლექციამოხსენებები. აქვე უნდა ითქვას, რომ პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტიდან იშვიათად ჩამოდიან კვალიფიციური ლექტორები.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად მოუთმენელია, მით უმეტეს დღეს, როდესაც ჩვენი რაიონის მშრომელები მთელი საქართველოს მშრომელებთან ერთად ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის და როდესაც აგიტაცია-პროპაგანდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი მოვალეობაა გამოვასწოროთ აღნიშნული ნაკლოვანებანი და უზრუნველვყოთ საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მაღალი დონე.

ქვემო სვანეთი მაღალმთიანი რაიონია. მისი ეკონომიკის წამყვან დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს, მაგრამ მას დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. წლების მანძილზე არ სრულდებოდა მეცხოველეობის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის სახელმწიფო გეგმები. ყოველივე ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ მოსახლეობაში იდეოლოგიური მუშაობა თვითდინებაზე იყო დამყარებული.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ამ ყრილობის მიერ მიღებული მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები ახალი ამოცანის წინაშე აყენებს რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს. იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ ჩვენს წინაშე მდგომი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანები, საჭიროა გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა, განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, განუხრელად განვახორციელოთ ზემდგომი ორგანოების დირექტივები.

ქვემო სვანეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური შრომიდან „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გამომდინარე, ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით განახორციელონ.

ვ. დავითულიანი,

საქართველოს კომპარტიის ქვემო სვანეთის რაიკომის მდივანი.

გადაჭრით გავაუმჯობესოთ კვებვაჭრობის მუშაობა

დედაქალაქის მოსახლეობის პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში დიდ როლს ასრულებს მტკვრის მარჯვენა სანაპიროს კვებვაჭრობა. უკანასკნელ ხანებში მან მნიშვნელოვნად გარდაქმნა მუშაობა, გააფართოვა ქსელი, გახსნა ახალი მაღაზიები, კიოსკები, რომლებიც უზრუნველყოფილია მაღალხარისხოვანი სასურსათო საქონლის ასორტიმენტით. კვებვაჭრობამ მიმდინარე წლის 11 თვის საქონელბრუნვის გეგმა 102,2 პროცენტით შეასრულა.

ნაყოფიერი მუშაობით განსაკუთრებით ცნობილია თავი № 25 მაღაზიამ (დირექტორი ამხ. აბრამოვი), რომელსაც მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის ბრძანებით საუკეთესო მაღაზიის სახელი მიენიჭა. სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში დაწინაურდა აგრეთვე № 2 მაღაზია (დირექტორი ამხ. გაგუა), № 1 მაღაზია (დირექტორი ამხ. გუგუშვილი) და სხვ.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, კვებვაჭრობის მუშაობაში დღემდე ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებსა და დამახინჯებებს. რაც მთავარია, აქ ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული მუშაობა ვაჭრობის ტექნიკის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლებისათვის.

კვებვაჭრობის დირექციაში ყოველდღე მრავალი განცხადება და საჩივარი შედის. მათი მეტი ნაწილი რეზოლუციებით არის აჭრელებული. ხშირად იწერება ბრძანებები, რომლებიც, როგორც წესი, უშედეგოდ რჩება. ჯერ კიდევ 1950 წელს დაიწერა ბრძანება, რომლის მიხედვით სახელმწიფო ქონების გამნიავებლები — № 46 მაღაზიის გამგე დალაქიშვილი, სავაჭრო ქსელის მუშაკები — ჯიქიძე, დარჩია, ბურდული, საგანელიძე, საკაშვილი და სხვები სამუშაოდან უნდა მოეხსნათ და პასუხისგებაში მიეცათ, მაგრამ ბრძანება დღესაც შეუსრულებელია. ეს ამბავი ცნობილია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთვისაც. ასეთი ფაქტები ერთეული როდია.

თბილკვებვაჭრობის სისტემაში ვხვდებით სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განიავების შემთხვევებს.

ერთ-ერთი შემოწმების დროს № 1 კიოსკის გამგეს მაისიაის 2.291 მანეთის დანაკლისი აღმოაჩნდა. ბუხჰალტერმა კაჭარავამ ბოროტმოქმედ მაისაიას აღნიშნული თანხა დააფარვინა და პასუხისგებაში არ გადასცა.

რევიზორმა მ. ჩხარტიშვილმა ამხ. ხუსურაშვილთან ერთად № 68 მაღაზიაში (ყოფილი გამგე — არველაძე) გასული წლის ოქტომბერში 8 ათასი მანეთის გაფლანგვა-მითვისება გამოავლინა. აღნიშნულის შესახებ გაფორმდა სათანადო დოკუმენტები. ეს დანაკლისი რომ არ გამომჟღავნებულიყო, დოკუმენტი სპეციალურ წიგნში არ გაატარეს. აღნიშნული დოკუმენტი მალე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მთავარი რევიზორის ა. მალაზონიას ხელში აღმოჩნდა. მოსალოდნელი იყო, რომ დამნაშავე ამის შემდეგ დაისჯებოდა. მოლოდინი არ გამართლდა.

სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ არადამაკმაყოფილებლად იბრძვის მილიციისა და პროკურატურის ზოგიერთი მუშაკი. ჯერ კიდევ 1949 წლის 11 ოქტომბერს ბერიას რაიონის პროკურატურას გადაეცა საქმე ბოროტმოქმედ ეგიკოვისა, რომელაც 233 ათასი მანეთი გაფლანგა და მიიმალა. პროკურატურის ორგანოების ბიუროკრატული მუშაობის შედეგად კვლევა-ძიება დღესაც ჭიანურდება. ასევე არ უჩანს დასასრული ვინმე ბაგრამოვის, მექვაბიშვილის ბნელ საქმეს. დირექციის ხშირ შეხსენებებს პროკურატურის ორგანოები არაფრისმთქმელი მიმართვებით უპასუხებენ.

კვებვაჭრობის სისტემაში ზოგჯერ ადგილი აქვს დამნაშავეებისადმი ლმობიერ მოპყრობას. № 36 მაღაზიის გამგის ო. ბურდულის თვალწინ გამყიდველმა ს. ცოვინოვმა უხეშად დაარღვია საბჭოთა ვაჭრობის წესები. მას მხოლოდ სასტიკი საყვედური აკმარეს. ასეთი ფაქტები ერთეული როდია.

ეს ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ კვებვაჭრობის სისტემაში დღემდე არასაკმაოდ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. ერთ-ერთ თათბირზე სამამულო ომის მონაწილემ, კომუნისტმა ანდღულაძემ მკაცრად გააკრიტიკა არსებული ნაკლოვანებანი. იგი მაშინვე შეაჩერეს, არ მისცეს სიტყვის გაგრძელების საშუალება.

კვებვაჭრობის დირექციის პარტორგანიზაცია მოუქნელად მუშაობს, არსებული მდგომარეობიდან საჭირო დასკვნები არ გამოაქვს. პარტორგანიზაცია გადამწყვეტ ზომებს არ იღებს აპარატში მტკიცე წესრიგის დასამყარებლად.

პარტბიუროს მდივანი ამხ. სხვიტარიძე ვერ იბრძვის ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ. მან და საქონელმცოდნე ამხ. მასალკინმა № 20 მაღაზიის ყოფილ დირექტორს კომბინატორ ს. ოგანეზოვს „მეგობრულად“ მისცეს მინდობილობა 200 კილოგრამი ხორცის მისაღებად. კომბინატორმა ოგანეზოვმა მინდობილობა გადაასწორა და 1.200 კილოგრამი ხორცი მიიღო. მაღაზია № 20, სადაც დირექტორად კომუნისტი ამხ. მანუკიანი მუშაობს, სისტემატურად ვერ ასრულებს გეგმებს. არის ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევებიც.

კვებვაჭრობის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის აგრეთვე სასაწყობო მეურნეობის უქონლობა, რის გამო ზოგიერთი მაღაზიის დარბაზები საწყობებად არის გადაქცეული (№ 4, 10 მაღაზიები და სხვ.).

კადრების აღზრდის საქმეში სუსტად მუშაობს ბერიას რაიონის კვებვაჭრობის ქსელის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ა. ინალიშვილი. იგი თვითონ იძლევა ცუდი მუშაობის მაგალითს. მარტო წელს სხვადასხვა დამახინჯებებისათვის მას ოთხჯერ დაედო ადმინისტრაციული სასჯელი.

კვებვაჭრობის სისტემაში დაბალ დონეზეა სოციალისტური შეჯიბრება, არ ხდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, მოწინავე მუშაკთა გამოცდილების გაზიარება.

კვებვაჭრობის დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნან მუშაობა, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ მომხმარებელთა კულტურული მომსახურება.

ა. გოცირიძე,
შ. ჯოჯუა.

თბილისი. საორთქლმავლო დეპო. სურათზე: ლენინელი მემანქანეები ლ. ბერიძე (მარცხნივ) და ა. მამაჯანაშვილი, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ ორთქლმავლების გარბენის ნორმებს და დიდი რაოდენობით ზოგავენ საწვავს. პირველმა 11 თვეში დაზოგა 80 ტონა ხაწვავი, ხოლო მეორემ — 42 ტონა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

აჩქარებენ გვირთბრუნვას

რკინიგზის ტრანსპორტზე ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად ამიერკავკასიის რკინიგზის სუხუმის განყოფილების სადგურებში, დისტანციებსა და დეპოებში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება.

დისპეტჩერ-სელექტორისტი ს. ნაროუშვილი, რომელიც რამდენიმე თვეა ზუსტად ასრულებს მატარებელთა მოძრაობის სადღეღამისო გრაფიკს, სტახანოვურ ვახტზე დგას და სატრანზიტო და ადგილობრივი ვაგონების ბრუნვას თვალსაჩინოდ აჩქარებს.

შეჯიბრების მოწინავეთა რიგებში არიან და სტახანოვური შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან დისპეტჩერები — ნ. გაჩეჩილაძე, კ. ნარეკსიანი, ა. ჯღარკავა და გ. ჯაკობია. ისინი დეკემბერში დატვირთვის გეგმას 140-148, ხოლო გადმოტვირთვისა — 105-115 პროცენტით ასრულებენ. ამავე დროს სატვირთო და სამგზავრო მატარებლებს უბანში გრაფიკის მიხედვით ატარებენ და მოძრავი შემადგენლობის რაციონალურად გამოყენებით ათასობით ვაგონ-საათის ეკონომიას ეწევიან.

დატვირთვა-გადმოტვირთვის სახელმწიფო გეგმებს წარმატებით ანაღდებენ და პირველობას ინარჩუნებენ სუხუმის, განთიადისა და კვეზანის სადგურების კოლექტივები. კვეზანის სადგურის მორიგის ი. შამუგიას ცვლა დატვირთვის გეგმას 200 პროცენტით ასრულებს, ხოლო გადმოტვირთვისას — 150 პროცენტით.

სუხუმელმა მეორთქლმავლეებმა საველე სადგურების მუშაკებთან შეთანხმებული მუშაობით ორთქლმავლების სადღეღამისო გარბენის ნორმას 20-30 კილომეტრით გადააჭარბეს და ასობით კილოგრამი საწვავი დაზოგეს. მემანქანეთა შორის მძიმე წონის მატარებლების გადაყვანაში დაწინაურდა ა. ორლოვი.

ა. კუჭუხიძე.

სიმართლე თურქეთის შესახებ

ბიბლიოგრაფია

პროგრესულმა თურქმა მწერალმა ნაზიმ ჰიქმეთმა, რომელმაც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დახმარებით თავი დააღწია თურქეთის საპყრობილის ჯურღმულებს, სადაც ის მრავალ წელიწადს იტანჯებოდა, შექმნა მკაფიო და სიმართლის შემცველი ნაწარმოები თავისი ქვეყნის შესახებ. მან დაწერა დრამატურგიული მოთხრობა თურქეთზე.[1])

ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ნამდვილი ფაქტები და მოვლენები; ამავე დროს ეს არის თანამედროვე თურქეთის ცხოვრების ტიპიური მოვლენების ოსტატური განზოგადება მხატვრული სახეებით.

ნაზიმ ჰიქმეთის „მოთხრობა თურქეთის შესახებ“ — ეს არის იმ ადამიანის ნაამბობი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ ნახა და განიცადა ყოველივე ის, რაზეც წერს, გადაიტანა ის, რასაც იტანენ მისი გმირები, მონაწილეობდა ბრძოლაში, რომელსაც გვიხატავს. ეს არის მოთხრობა იმ ქვეყნის შესახებ, რომელიც მისმა მმართველებმა უოლსტრიტელ კოლონიზატორებს მიჰყიდეს და რომელიც გადაქცეულია ამერიკის აგრესიის ბაზად ახლო აღმოსავლეთში. ეს არის მოთხრობა დაჩაგრულ, ღატაკ და უუფლებო ხალხზე, რომელსაც ქედი არ მოუხრია მჩაგვრელთა წინაშე. ეს არის მოთხრობა იმ ადამიანთა შესახებ, რომლებიც იბრძვიან თავისი უფლებებისათვის, უკეთესი ცხოვრებისა და მსოფლიოში მშვიდობისათვის.

თურქეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ბილენი თავის მისასალმებელ სიტყვაში საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობაზე ამბობდა, რომ ამერიკელ კოლონიზატორთა პარპაშმა თურქეთში, რომელიც მისმა მმართველმა წრეებმა დოლარებზე გაყიდეს, ამ ქვეყნის მილიტარიზაციამ ხალხის ფართო მასები განწირა სიღატაკისა და უმუშევრობისათვის, გამოიწვია გადასახადების გადიდება და ცხოვრების გაძვირება. „დღეს თურქეთი საპყრობილე და ჯოჯოხეთი გახდა ხალხის მასებისათვის“, — ამბობდა ამხ. ბილენი.

ჰიქმეთის მოთხრობა-პიესა გვიჩვენებს ამ ჯოჯოხეთს. პიესის დასაწყისშივეა სიტყვები, რომლებშიც გამოთქმულია მისი ძირითადი აზრი, გამოხატულია მწერლის გულისწყრომა, თვით ხალხის გულისწყრომა:

„ქალაქ ანკარაში ბაზარი გაიხსნა.
ქალაქ ანკარაში ჩვენ გაგვყიდეს...
ჩვენი ხელები გაჰყიდეს,
ჩვენი თვალები გაჰყიდეს,
ჩვენი სისხლი გაჰყიდეს...
ჩვენი სამშობლო გაჰყიდეს!“

ამ გულისწყრომით, რომელიც მოუწოდებს პატრიოტებს უცხოელ დამპყრობთა და ეროვნული ინტერესების გამყიდველთა წინააღმდეგ საბრძოლველად, თავიანთი სამშობლოს, მისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის დაცვისათვის საბრძოლველად, გამსჭვალულია ნაზიმ ჰიქმეთის მთელი ნაწარმოები.

ნაზიმ ჰიქმეთის პიესა, რომელიც ბევრი სურათისა და ეპიზოდისაგან შედგება, ნიღაბს ხდის თურქეთის მმართველთა საზიზღარ გამცემლობას, მათს მლიქვნელობას ოკეანესგაღმელი ბატონების წინაშე, რომლებიც თურქეთში ისე იქცევიან, როგორც თავიანთ კოლონიაში, დამორჩილებულ და აბუჩად აგდებულ ქვეყანაში. ამასთანავე პიესაში ნათლად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ როგორ ძლიერდება მთელი ხალხის წინააღმდეგობა მთავრობის მოღალატური პოლიტიკისადმი, როგორ იზრდება ხალხის ბრძოლა ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ.

პიესა იხსნება ანკარაში დიპლომატიური დარბაზობის სურათით. ვალსის ჰანგებში წარმოითქმება ვაშინგტონელი ბატონებისა და მათი თურქი ლაქიების „მეგობრული ურთიერთობის“ სადღეგრძელოები, გამოითქმის სურვილები, რომ კორეაში გაიგზავნონ თურქი ჯარისკაცები, რომლებსაც თურქეთის გენერლები და მინისტრები საზარბაზნე ხორცად ჰყიდიან. ამერიკის მისიის წარმომადგენელნი ლაყბობენ თურქი ბავშვების სასარგებლოდ საქვილმოქმედო ბალის მოწყობაზე. ხოლო იმავე დროს, იმავე ანკარაში, ამერიკის არმიის უნტერ-ოფიცრის ფორმით გამოწყობილი ამერიკელი განგსტერი ფანჯრიდან ტყვიას ესვრის თურქ ბავშვს, რომელიც ქუჩაში მის მოტოციკლთან მივიდა.

ასეთია ამერიკა-თურქეთის „მეგობრობის“ სახე, ასევთვე არიან ამერიკელი „ქველმოქმედნი“.

მარტო საუბარი თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრსა და პოლიციის უფროსს შორის, რაც მოყვანილია ჰიქმეთის პიესაში, ცხადყოფს ამ ქვეყნის მმართველთა საზიზღარი გამცემლობის მთელ სიღრმეს და მათს მლიქვნელობას ამერიკელთა წინაშე:

„პოლიციის უფროსი: ამერიკელმა უნტერ-ოფიცერმა ბავშვი მოკლა.

მინისტრი: რა უყავით?

პოლიციის უფროსი: ბავშვი გავგზავნეთ საავადმყოფოში. ვცდილობთ გავფანტოთ ბრბო. ამერიკელი...

მინისტრი: დაუპატიმრეთ?

პოლიციის უფროსი: არა, გვეშინოდა, რომ ხალხი თვითონ გაუსწორდებოდა მას, სახლს მცველები მივუყენეთ, მას კი ვურჩიეთ ქუჩაში არ გამოვიდეს“...

ეს სცენა სიბრაზით მუშტებს შეაკუმშინებს პატრიოტებს. მსგავსი სცენები კი დღევანდელი თურქეთის ცხოვრებაში ერთეულები როდია.

არანაკლებ დამახასიათებელია ჰიქმეთის მიერ პიესაში დახატული ბევრი სხვა სცენა. ამ სცენებში ნაჩვენებია, თუ რა მხეცურად ეპყრობიან ჟანდარმები ბლეხებს, რომლებიც იცავენ ამერიკელების მიერ აეროდრომის მოსაწყობად წართმეულ თავიანთ მიწას. სოფელი მოსპობილ იქნა, მის მცხოვრებლებს კი ბორკილები დაადეს. ავტორი გადმოგვცემს, თუ რა მხეცურად ექცევიან პოლიციის მოხელეები უბრალო ადამიანებს, რა სასტიკად სდევნიან მშვიდობის მომხრეებსა და დამცველებს. ყოველივე ეს მზარდი დაძაბულობით გვიხატავს თურქეთში პოლიციურ ტერორს, თურქეთის მმართველთა მხეცურ ზნე-ჩვეულებას, უბრალო ადამიანების აბუჩად აგდებას.

მაგრამ ვერც მხეცური მოპყრობა, ვერც ტერორი, ვერც ბორკილები და საპყრობილეები ვერ ჩაახშობს ხალხის მასების გულისწყრომასა და აღშფოთებას. უოლ-სტრიტის ბანკირების მიერ დაქირავებულებს ძალა არ შესწევთ ჩაახშონ ხალხის მისწრაფება დიადი თავისუფალი ცხოვრებისაკენ, სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობისაკენ. მათ არ ძალუძთ გატეხონ უბრალო ადამიანთა ნება, რაც მიმართულია ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთათვის წინააღმდეგობის გაწევისაკენ.

ნაზიმ ჰიქმეთი თავის ახალ ნაწარმოებში გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება დღევანდელ თურქეთში მთელი ხალხის წინააღმდეგობა მშვიდობის მტრებისადმი, ეროვნული ინტერესების გამყიდველებისადმი. ყველა პატიოსანი ადამიანი ერთიანდება მშვიდობის დაცვის საზოგადოებებში. ისინი პროტესტს აცხადებენ კორეაში თურქი ჯარისკაცების გაგზავნის წინააღმდეგ, საომარი მზადების გაძლიერების წინააღმდეგ, უარს აცხადებენ ამერიკული სამხედრო მასალების გადმოტვირთვაზე, ეუბნებიან ხალხს სიმართლეს თურქეთის მმართველი წრეების გამცემლობის შესახებ.

ჰიქმეთი თავის პიესაში ასახავს მშვიდობის დაცვის ერთ-ერთი ასეთი საზოგადოების მოღვაწეობას. ამ საზოგადოებას ხელმძღვანელობენ ექიმი და ჟურნალისტი ქალი ხატჩე, მუშა დოკერი ისმაილი, სტუდენტი ქალი გიულნინი, ახალგაზრდა არქიტექტორი ნური. ამ საზოგადოებაში აქტიურად თანამშრომლობენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — მწერლები ეშრეფი, ჰუსეინ ჰალიმი, ადვოკატი მურატი. მშვიდობის დაცვის საზოგადოების რიგებში მოდიან მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები — დიასახლისებიდან ჯარისკაცებამდე.

„ჩვენ მოვუწოდებთ მთელ ხალხს მშვიდობისათვის საბრძოლველად“ — ამბობს საზოგადოების თავმჯდომარე ხატჩე. ხალხს რომ გააცნონ მთელი სიმართლე მისი უშიშროების წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ, საზოგადოების აქტივისტები არ ერიდებიან პოლიციაში ტანჯვის, წამების და მრავალწლობით საპყრობილეში ჯდომის საფრთხეს. ისინი უშვებენ და ავრცელებენ გაზეთს, პროკლამაციებს, ამხილებენ ომის გამჩაღებელთა ხრიკებს.

მაშინ როცა მინისტრები და გენერლები ამერიკელ აგრესორებს უთანხმდებიან, რომ თურქეთის ჯარები კორეაში გაიგზავნონ, მშვიდობის დაცვის საზოგადოება თურქ ხალხს მიმართავს მოწოდებით, სადაც ნათქვამია: „თურქეთის მთავრობამ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება კორეაში ჯარისკაცების გაგზავნის შესახებ, ცხადყო, რომ ამერიკელებს მიჰყიდა ეროვნული დამოუკიდებლობა“.

პოლიცია აპატიმრებს და საპყრობილეში ამწყვდევს საზოგადოების ხელმძღვანელებს. მაგრამ მშვიდობისათვის ბრძოლა არ წყდება. დაპატიმრებულთა ადგილს ახალი მებრძოლები იკავებენ. განადგურებული საზოგადოების ნაცვლად ჩნდებიან მშვიდობის დაცვის ფარული კომიტეტები. ისინი აწყობენ და სათავეში უდგებიან ბრძოლას საომარი მზადების წინააღმდეგ, ეროვნული ინტერესებისადმი ღალატის პოლიტიკის წინააღმდეგ.

ნაზიმ ჰიქმეთი თავის პიესაში ხატავს დღევანდელი თურქეთის ცხოვრების ფართო სურათს. მას მოქმედება გადაადგილებს პრემიერ-მინისტრის სასახლეშიც და ქალაქის მოედანზეც, სადაც უმუშევრები და ღატაკი გლეხები მოწყალებას ელოდებიან, იმ გაზეთის რედაქციაშიც, რომელიც ომის გამჩაღებელთა იარაღს წარმოადგენს, საპყრობილის ჯურღმულებშიც, სადაც იტანჯებიან პატრიოტები. იგი გვიჩვენებს სცენებს მთებში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან კორეაში გასაგზავნი რაზმებიდან გაქცეული ჯარისკაცები, რომ მიემხრონ მშვიდობის დაცვის ფარულ კომიტეტებს, რომ მუშებთან ერთად აწარმოონ ბრძოლა, გვიჩვენებს გაფიცვას, რაც მოუწყვიათ მუშებს, რომ არ გადმოტვირთონ ამერიკული იარაღი. იმ სურათებთან ერთად, რომლებშიც ნაჩვენებია მშვიდობის დაცვის მოძრაობის მონაწილეთა დიდი მოქალაქეობრივი მამაცობა, მწერალ ... [illegible] რიკულ სურათებსაც, რომლებიც გვიჩვენებს თავისი გმირების ცოცხალ, ადამიანურ გრძნობებს, აღწევს შექმნილი სახეების დახასიათების სისრულეს, ცოცხლად და მიმზიდველად გვისურათებს მათ.

ჰიქმეთმა შეძლო შეექმნა მკაფიო ეროვნული ხასიათები, შშვიდობის დამცველთა მართალი სახეები. ასეთები არიან დოკერი ისმაილი, რომელიც ხელმძღვანელობს მშვიდობის დაცვის ფარულ კომიტეტებს, ჟურნალისტი ქალი ხატჩე, მამაცი და მშვიდობის საქმისადმი ბოლომდე ერთგული, მასების ორგანიზატორი. ცოცხლად არის მოცემული სახე მწერალ ჰუსეინ ჰალიმისა. იგი ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ საზოგადოების წევრებმა გამოაქვეყნონ მოწოდება, რადგან იცის, ამისათვის მათ მოელით პატიმრობა და იქნებ სიკვდილით დასჯაც. მაგრამ მოწოდებიც გამოქვეყნების შემდეგ ის იზიარებს ამხანაგების ხვედრს და ისევე ვაკაცურად უჭირავს თავი საპყრობილეში, როგორც სხვებს. მას ახასიათებს დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება და თავისებური პირადი გრძნობები. ის იტანს არაადამიანურ წამებას საპყრობილეში და არაფრად აგდებს სიკვდილს მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში.

ასევე მკაფიო და კოლორიტულია უბრალო თურქი ქალის, დიასახლისის ფატმა ნურხანის სახე. ფატმა მიდის მშვიდობის დაცვის საზოგადოებაში, რათა ეძიოს დახმარება და მხარდაჭერა, რომ კორეაში გაგზავნას გადაარჩინოს „თავისი ალი“, თავისი ერთადერთი შვილიშვილი, და მხოლოდ მისთვის ფიქრობს. მაგრამ შემდეგ იგი ხდება საზოგადოების აქტიური წევრი და „ყველა ალის“, ყველა იმ ახალგაზრდის დამცველი, რომელსაც ომი ემუქრება. „არ გვინდა, რომ ადამიანები იღუპებოდნენ კორეის მთებში, არ გვინდა, რომ ისინი იქაურ ღარიბებს ხოცავდნენ“, — გაბედულად ეუბნება იგი მოსამართლეებს, როცა დააპატიმრეს მშვიდობის დაცვის საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად. „ეს ახალგაზრდები, ჩემს გვერდით რომ სხედან, ყველაზე კარგი, ყველაზე კეთილი ხალხია ქვეყანაზე... თუ მათ ჩამოახრჩობ, მეც ჩამომახრჩე“. მას მტკიცედ სწამს მშვიდობის დამცველთა სიმართლე და მზად არის გაიზიაროს მათი ხვედრი, რანაირიც უნდა იყოს იგი.

მიმზიდველია აშუღ სათილმიშის სახე, რომელსაც მიკუთვნებული აქვს მკაფიო ეროვნული თვისებები. აშუღმა მთელი თურქეთი შემოიარა, იგი უბრალო ხალხში მღერის თავის შეთხზულ სიმღერას სტალინზე, იმ ადამიანზე, „რომელიც ყოველთვის ეხმარება გასაჭირში მყოფთ“. სათილმიშის სიმღერაც, მისი სახეც, ისიც, რომ მას მხარს უჭერენ და იცავენ უბრალო ადამიანები მთელ თურქეთში, შიშის ზარს სცემს ხელისუფალთ. აი დამახასიათებელი სცენა სათილმიშის დაკითხვისა პოლიციაში:

„უფროსი: მაშ, სოფლის ყავახანებში დილიდან საღამომდე ყველგან მღეროდი ამ სიმღერას?

სათილმიში: სხვა სიმღერებსაც ვმღეროდი, ბეგო... ამასაც ვმღეროდი.

უფროსი: სამთვენახევარს სოფელ-სოფელ დადიოდი, და არავინ დაგაბეზღა! არავინ არ გადაგცა ჟანდარმებს.

სათილმიში: რისთვის, ბეგო? კაცი არ მომიკლავს, არაფერი არ მომიპარავს.

უფროსი: გაჩუმდი! მიწამ კი ჩაგიტანოს... დაუჯერებელია! მაშ მთელი ანატოლია შემოიარე და ყველგან ამბობდი: სტალინი, სტალინიო?“.

აშუღი სათილმიში თურქეთის უბრალო ადამიანთა ფიქრებისა და სულისკვეთების გამომხატველია, რომელთაც არ უნდათ ომი, რომელთაც სურთ იცხოვრონ მეგობრულად საბჭოთა კავშირთან და სხვა ხალხებთან.

ნაზიმ ჰიქმეთის „მოთხრობა თურქეთის შესახებ“ დაწერილია მდიდარი და ცოცხალი ენით. იგი გამსჭვალულია გულისწყრომითა და სარკაზმით მტრებისადმი.

აი ერთ-ერთი მაგალითი ჰიქმეთის იუმორისა და სარკაზმისა. კორეაში გაგზავნის წინ ჯარისკაცები საუბრობენ:

„სერჟანტი: ახლა ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ ჯარისკაცებს უჭირთ. ჩვენ მათ დასახმარებლად მივდივართ.

ჯარისკაცი: თუ მათ დასახმარებლად ჩვენ გვგზავნიან... მაშინ... დაღუპული ყოფილა საქმე...“

ნაზიმ ჰიქმეთი, რომელიც თურქ ჯალათებს ჰყავდათ პატიმრობაში და ახლა დახსნილია მათი ჯურღმულებიდან, ამჟამად იმყოფება თავისუფალ ადამიანთა შორის, თავისუფალ ქვეყანაში. იგი სიტყვის დიდი ოსტატის ნიჭს ახმარს ბრძოლას ხალხთა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. ამ დიად საქმეს ემსახურებიან მისი ლექსები და მისი პიესა.

„მოთხრობა თურქეთის შესახებ“ განსაკუთრებული ძალით ეღერს ახლა, როცა მსოფლიოს ხალხები ამჭიდროებენ თავიანთ რიგებს ომის გაძლიერებული საფრთხის წინაშე, ომისა, რომლის გაჩაღებასაც ცდილობენ მსოფლიო ბატონობის ამერიკელი პრეტენდენტები.

ე. ტრუშჩენკო.

[1]). ნაზიმ ჰიქმეთი. მოთხრობა თურქეთის შესახებ. პიესა 3 მოქმედებად. თარგმანი თურქულიდან. ეურნ. „ზვეზდა“. 1952 წ. № 7.

მაღაროელთა და მეზღვაურთა მიწერმოწერა

ჭიათურა. (საკ. კორ.). 18 ნოემბრის „პრავდაში“ მოთავსებული იყო ინფორმაცია სათაურით: „წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის“. კორესპონდენციაში აღნიშნული იყო ჭიათურელ მაღაროელთა თავდადებული შრომა მეტი მარგანეცისათვის ბრძოლაში. სხვა წარჩინებულ ადამიანებთან ერთად „პრავდაში“ დასახელებული იყო ლენინის სახელობის მაღაროს მესამე უბნის უფროსი ჰ. ჩაჩანიძე.

ამ დღეებში ამხ. ჰ. ჩაჩანიძის სახელზე არანაგელსკიდან მოვიდა წერილი. საზღვაო ფლოტის გაზეთის რედაქტორი ამხ. გ. როსინსკი წერს:

„ძვირფასო ამხანაგო ჩაჩანიძე! გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ თქვენ, მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებითა და ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომით აღფრთოვანებული, თავდადებით შრომობთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, XIX ყრილობის ისტორიული დადგენილებების შესრულებისათვის.

ჩვენი მკითხველების — სამხედრო მეზღვაურების სახელით სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოველდღიური გაზეთის რედაქცია მხურვალედ გილოცავთ მოპოვებულ წარმატებებს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ახალ გამარჯვებებს თქვენს სახელოვან პატრიოტულ შრომაში.

გთხოვთ, ამხ. ჩაჩანიძე, გამოგვიგზავნოთ წერილი იმის შესახებ, თუ როგორ შრომობთ, როგორია თქვენი მიღწევები, როგორია თქვენი მომავალი გეგმები, რომლებიც უნდა განახორციელოთ ახალ ხუთწლედში, მოგვწერეთ თქვენს ცხოვრებაზე, თქვენს ამხანაგებსა და მათს შემოქმედებითს შრომაზე, თქვენს სურვილებზე საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებისადმი.

ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მიღწევები სამხედრო მეზღვაურებს ახარებთ და აღფრთოვანებთ გემებისა და დანაყოფების საბრძოლო მზადყოფნისათვის დაუღალავ ბრძოლაში. თქვენი წერილი თქვენს შემოქმედებითს შრომაზე, თქვენი სურვილები ფლოტისადმი დაგვეხმარება ჩვენ აღვზარდოთ პირადი შემადგენლობა მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ჩვენი საყვარელი სამშობლოსა და დიდი საბჭოთა ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და სიამაყის გრძნობით.

სალამით რედაქტორი გ. როსინსკი“.

აღნიშნული წერილი გულდასმით გაიცნეს ლენინის სახელობის მაღაროს მუშებმა, რომლებმაც უფრო გააძლიერეს ბრძოლა მეტი მარგანეცისათვის.

ამხ. ჰ. ჩაჩანიძემ უბნის კოლექტივის სახელით საპასუხო წერილი გაუგზავნა ამხ. გ. როსინსკის. ამხ. ჩაჩანიძე წერს:

„ძვირფასო ამხანაგო როსინსკი!

მივიღე თქვენი უაღრესად მეგობრული წერილი, რომელიც შორეული ჩრდილოეთიდან გამოგზავნეთ. ასეთი მეგობრული ურთიერთკავშირი და მიწერმოწერა მხოლოდ ჩვენს სამშობლოში, სტალინურ ეპოქაში არის შესაძლებელი.

გულითადი მადლობა მეგობრული მოლოცვისათვის. გთხოვთ მაღაროელთა მხურვალე, გულწრფელი სალამი და კეთილი სურვილები გადასცეთ ჩვენს ლვიძლ ძმებს — სახელოვან მეზღვაურებს.

თქვენმა წერილმა მაღაროელთა შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენმა უბანმა 13 დეკემბერს შეასრულა წლიური დავალება. წლიური დავალება ვადამდე შეასრულა ჩვენი მაღაროს კოლექტივმა, მთლიანად მარგანეცის ტრესტმა. ამჟამად ჭიათურელი მაღაროელები მარგანეცს 1953 წლის ანგარიშში იღებენ. ჩვენი მაღაროს სახელმოხვეჭილი სტახანოველები ამხ. გ. თოდაძე, კ. ციხისელი, შ. სირაძე, დ. ფერაძე და სხვები წელს უკვე 1953 წლის გეგმას ასრულებენ.

ჩვენ მტკიცედ გვაქვს შეგნებული, რომ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი ნიშნავს მეტ ფოლადს, მეტ თუჯს, რაც ესოდენ ესაჭიროება ჩვენს მშობლიურ მეტალურგიას, ჩვენი სამშობლოს შემდგომ ძლიერებას.

იმედი იქონიეთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ ჭიათურელი მაღაროელები სამშობლოს არ მოაკლებენ მაღალხარისხოვან მარგანეცს, ჩვენ კვლავაც თავდადებულად ვიმუშავებთ ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

ახალ წარმატებებს გისურვებთ, ჩვენო სახელოვანო მეზღვაურებო, სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში. კვლავაც ფხიზლად იდექით მშვიდობის სადარაჯოზე და საერთოსახალხო კეთილშობილურ საქმეში ჩვენც მუდამ თქვენთან გვიგულეთ.

გთხოვთ მომავალშიც განვაგრძოთ ჩვენი მეგობრული მიწერმოწერა.

სალამითა და ღრმა პატივისცემით ჰ. ჩაჩანიძე“.

მაღაროელთა და მეზღვაურთა მეგობრობა დღითიდღე მტკიცდება.

მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის საიფუდინ კიჩლუს განცხადება

ბუდაპეშტი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „საბად ნეპმა“ გამოაქვეყნა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის, სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარის საიფუდინ კიტჩლუს განცხადება, რომელიც მან გაკეთა, როცა გავლით იმყოფებოდა უნგრეთში.

მე ღრმად შეეგრძენ, თქვა კიტჩლუმ, ის მაღალი პატივისცემა, რომელიც აღმომჩინა საერთაშორისო სტალინური პრემიის მონიჭებით. ეს პატივისცემა აღმოჩინა მთელ ჩვენს მოძრაობას მშვიდობის დაცვისათვის, მილიონობით ინდოელს, რომლებიც მხარს უჭერენ ამ მოძრაობას. მე ვამაყობ იმით, რომ ვეკუთვნი საერთაშორისო სტალინური პრემიით დაჯილდოებულთა რიცხვს. როგორც ყველა სხვა დაჯილდოებული, მეც ისევე ვიძლევი სიტყვას მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირო მშვიდობისათვის ბრძოლას. ჩემთვის ცხადია, რომ ეს ჯილდო ბევრ რამეს მაკისრებს. მშვიდობის პრემიას ეწოდება საბჭოთა ხალხის უგენიალურესი ბელადის ი. ბ. სტალინის სახელი.

მთელი საბჭოთა ხალხისათვის და საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ასეულ მილიონობით ადამიანისათვის სტალინის სახელი ნიშნავს მშვიდობას. ჩვენ გვჯერა, რომ ღირსი ვიქნებით იმ ადამიანის სახელის მატარებელი პრემიისა, რომელიც მშვიდობას განასახიერებს.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხებს უყვართ მშვიდობა, და ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი შესაძლებელია, რომ ვითანამშრომლოთ საბჭოთა ხალხთან და მასთან ერთად ვიყოთ ამ საერთო მიზნისათვის ბრძოლაში. საერთაშორისო სტალინური პრემია სიყვარულისა და სოლიდარობის ახალი კავშირით აკავშირებს ინდოეთისა და საბჭოთა ხალხებს.

მჯიდრო კავშირია დამყარებული მშვიდობისათვის მებრძოლ აზიის ხალხთა შორის, და განსაკუთრებული სიხარულით აღავსებს ჩვენს გულს მხურვალე მეგობრობა მშვიდობის ინდოელ და ჩინელ მოამხრეთა შორის.

საიფუდინ კიტჩლუმ ხაზგასმით აღნიშნა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა პეკინის კონგრესის უდიდესი მნიშვნელობა. მან თქვა, რომ ამ კონგრესმა განამტკიცა კულტურული ურთიერთობა ჩინელ და ინდოელ ხალხთა შორის. პეკინში ყოფნისას ინდოეთის დელეგაცია, რომელიც 62 კაცისაგან შედგებოდა, მიიღო მაო ძე-დუნმა. მასთან შეხვედრის დროს ინდოეთის დელეგაციამ, განაცხადა კიტჩლუმ, ისარგებლა შემთხვევით ესაუბრნა მასთან და კულტურული კავშირი გაეფართოებინა ინდოეთსა და ჩინეთს შორის. მე მჯერა, რომ ჩინელ და ინდოელ ხალხთა ურთიერთობა გაფართოვდება, და ეს სასარგებლო იქნება ორივე ქვეყნისათვის.

ილაპარაკა რა ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესის შესახებ, საიფუდინ კიტჩლუმ განაცხადა:

კაცობრიობის ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ისეთი შეხვედრა, როგორიც არის ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესი. სხვადასხვა ეროვნების ადამიანები შეიკრიბნენ და განიხილეს ყველაზე მწვავე საკითხები. და არა მარტო განიხილეს ისინი, არამედ გამოიტანეს გადაწყვეტილებანი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მთელი მსოფლიოს მომავლისათვის.

მთელმა ჩვენმა დელეგაციამ ერთხმად დაუჭირა მხარი კონგრესის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს.

ჩვენ გვჯერა, რომ ამ საფუძველზე მოძრაობა მშვიდობის დაცვისათვის ყველა ქვეყანაში მიაღწევს დიდ წარმატებებსა და შემდგომ განვითარებას. ხალხთა კონგრესის მოწოდება მოითხოვს ჩვენგან დაუყოვნებლივ გავაჩაღოთ მუშაობა მშვიდობის ინტერესებისათვის, და ჩვენ ეუბნი არ გვეპარება იმაში, რომ მის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს ის, რომ კონგრესმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ხალხთა ეროვნულ დამოუკიდებლობასა და უშიშროების მწვავე პრობლემებს. ინდოეთის დელეგატებმა ხალხთა კონგრესზე გამოთქვეს მოელი ინდოელი ხალხის ერთსულოვანი სურვილი: დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოველგვარი კოლონიური პოლიტიკა, თავიდან აცილებულ იქნას ახალი საშიშროება, რომელიც ემუქრება ჩვენი ქვეყნების სუვერენიტეტს.

კიტჩლუმ რწმენა გამოთქვა, რომ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის გადაწყვეტილებებს კორეის საკითხზე მხარს დაუჭერს მსოფლიოს ყველა ხალხი.

ჩვენ, თქვა დასასრულ კიტჩლუმ, მიზნად დავისახეთ ინდოეთში დაბრუნებისთანავე გავავრცელოთ კონგრესის გადაწყვეტილებანი და ამით განვამტკიცოთ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა. ჩვენ ხალხთა კონგრესიდან სამშვიდობო მოწოდებას შევიტანთ ჩვენი ქვეყნის ყველაზე მიუღებელ კუთხეებში.

ინდოეთის გაზეთები დოქტორ ს. კიჩლუსათვის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭების შესახებ

დელი, 25 დეკემბერი. (საკდესი). პროგრესული გაზეთი „ნაია ზამანა“, რომელიც ჯულუნდურში გამოდის, სარედაქციო სტატიაში „პენჯაბის გამოჩენილ შვილს მივნიჭა მშვიდობის სტალინური პრემია“ წერს: „დოქტორ ს. კიტჩლუს მიენიჭა მშვიდობის სტალინური პრემია, რომელიც ყოველწლიურად ენიჭებათ საერთაშორისო მშვიდობისათვის ყველაზე თვალსაჩინო მებრძოლებს. ინდოეთი... ამაყობს, რომ პენჯაბელი ხალხის შვილი ასეთი დიდი პატივის ღირსი გახდა...“

დელის გაზეთი „დეილი მალაპი“ წერს: „პატივით, რომელიც წილად ხვდა კიტჩლუს, უნდა იამაყოს არა მარტო პენჯაბმა, არამედ მთელმა ინდოეთმაც. მას წილად ხვდა ეს პატივი იმიტომ, რომ ჯეროვნად შეაფასეს მისი გულწრფელობა და მისი მოღვაწეობა“.

გაზეთი „სვადხინატა“ წერს, რომ 1952 წელს ინდოეთს წილად ხვდა დიდი პატივი სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარის დოქტორ კიტჩლუს სახით, რომელმაც მიიღო „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია.

სოფიის მშრომელთა მიჯნგი მშვიდობის დასაცავად

სოფია, 25 დეკემბერი. (საკდესი). ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესიდან ბულგარეთის დელეგაციის დაბრუნების გამო გუშინ საღამოს სოფიაში სახალხო კრების მოედანზე გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა საერთო საქალაქო მიტინგი. ათასობით ადამიანი შეიკრიბა ვრცელ მოედანზე და ახლომახლო ქუჩებში. მაღალ აღმართული ეროვნული და წითელი დროშები, პლაკატები და მშვიდობის ლოზუნგები, რომლებიც მოუწოდებენ ხალხთა მეგობრობისაკენ და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

პროეკტორები აშუქებენ მშვიდობის დიდი მეგობრის ი. ბ. სტალინის, გიორგი დიმიტროვისა და ვილკო ჩერვენკოვის პორტრეტებს.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ბულგარეთის დელეგაციას.

მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლისა და კონგრესის გადაწყვეტილებათა შესახებ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის დაცვის ბულგარეთის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გიორგი ნაჯაკოვმა. გიორგი ნაჯაკოვის საბოლოო სიტყვებს მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობის უძველესი ძლიერების შესახებ მიტინგზე შეკრებილი ათასობით მამაკაცი და ქალი, ჭაბუკი და ქალიშვილი შეხვდა აღფრთოვანებული შეძახილებით: „სტალინი — სტალინი!“, „სტალინი მშვიდობაა!“, „მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე!“.

დელეგაციის სახელით მიტინგზე გამოვიდნენ ავრეთვე პლოვდივის მიტროპოლიტი, ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის თავმჯდომარის მოსაყდრე კირილე და ბულგარელ დემოკრატ ქალთა კომიტეტის წევრი რადა ტოდოროვა.

მიტინგის მონაწილეებმა ტაში გრიალით მიიღეს მისასალმებელი დეპეშები ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვილკო ჩერვენკოვისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოსადმი.

გვიან საღამოს სოფიის მშრომელები მშვიდობის სიმღერებით დაიშალნენ მშვიდობის ამ დიდებული მიტინგიდან.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა მთელი რიგი ცნობები, რომელთა თანახმად საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოწოდებამ პურის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ერთიანი ეროვნული ფრონტის განმტკიცებისაკენ, აგრეთვე ისეთი მთავრობის შექმნისაკენ, რომელსაც უნარი ექნება განახორციელოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის პოლიტიკა, მშრომელთა ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

გუშინ ჰარის დეპარტამენტის ერთ-ერთი რაიონის მაღაროელებმა გაფიცეა მოაწყეს და მოითხოვეს ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც საშვიდობო პოლიტიკას განახორციელებს. პარიზის ავრის გარეუბნის ბევრ საწარმოში მოეწყო მშრომელთა კრებები და მიტინგები, რომლებზეც მიიღეს რეზოლუციები და მოითხოვეს „ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის მთავრობის“ ჩამოყალიბება. ავრის უმუშევართა დელეგაცია გუშინ ეწვია ეროვნულ კრებას და მოითხოვა ისეთი მთავრობის შექმნა, რომელსაც უნარი ექნება უზრუნველყოს მათთვის შრომის უფლება.

დღეს „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირის განცხადებანი. ისინი მოითხოვენ შეიქმნას მთავრობა, რომელიც გამოხატავს ფრანგი ხალხის მისწრაფებას ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისადმი.

გუშინ ვენსან ორიოლმა მიიღო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი ჟაკ დიუკლო, რომელმაც, როგორც „ლუმანიტე“ იუწყება, პრეზიდენტს განუცხადა: „ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ შეიქმნას ნამდვილი ფრანგული მთავრობა, რომელიც, დაეყრდნობა რა ერის ქმედითუნარიან ძალებს, განახორციელებს ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის პოლიტიკას, უარს იტყვის ატლანტიკის პაქტსა და სხვა აგრესიულ ხელშეკრულებებზე, ბოლოს მოუღებს ამერიკულ ოკუპაციას, ეცდება მიაღწიოს გერმანიის პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას, შეწყვეტს ომს ვიეტნამში და გადაიყვანს საფრანგეთის ეკონომიკას მშვიდობიან რელსებზე, რაც შექმნის ეკონომიკური აღდგენისა და სოციალური პროგრესის პოლიტიკის განხორციელების საშუალებას.

ასეთმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციური თავისუფლებანი, შეწყვეტოს უკანონო დაპატიმრებანი და ბრალდებანი, უზრუნველყოს კონსტიტუციაში ჩაწერილი ყველა უფლების პატივისცემა (პროფკავშირული მოღვაწეობის უფლება, გაფიცვის უფლება, ღრმად მოხუცებულთა და ავადმყოფთა მიერ დახმარების მიღების უფლება, უმუშევრობის გამო დახმარების უფლება, სიტყვის, ასოციაციების, მანიფესტაციებისა და სხვ. თავისუფლება).

დასასრულ, ჩვენ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, რომ ლაპარაკია არა იმაზე, რომ მინისტრთა საბჭოს ერთი თავმჯდომარე შეიცვალოს მეორით სწორედ იმავე პოლიტიკის განგრძობისათვის. ლაპარაკია პოლიტიკის ძირეულ შეცვლაზე, როგორც ამას ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს.

ითვალისწინებს რა ამ აუცილებლობას, აგრეთვე იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ისეთი მთავრობის შექმნა, რომელსაც უნარი ექნება განახორციელოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის პროგრამა, საფრანგეთის კომუნისტური პარტია მოუწოდებს, რომ მუშათა კლასის გარშემო შეიქმნას მძლავრი ეროვნული ფრონტი, რომლის ერთიანი მოქმედებაც შეცვლის მოვლენათა მსვლელობას, გზას გადაუღობავს ფაშიზმს, მიაღწევს ეროვნულ დამოუკიდებლობას და იხსნის მშვიდობას“.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 25 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 25 დეკემბრის ცნობაში ნათქვამია:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ყველა ფრონტზე ეწეოდნენ ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დაზიანეს 2 თვითმფრინავი.

ორი შედეგი

ბერლინი, 26 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა შედეგით ამთავრებს 1952 წელს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისათვის ეს წელი რესპუბლიკაში სოციალიზმის საფუძვლების შენებლობის პირველი წელი იყო. ქალაქებისა და სოფლების მშრომელები, აღფრთოვანებულნი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებებით სოციალიზმის საფუძვლების შენებლობის შესახებ, წელს უმაგალითო აღმავლობით შრომობდნენ და დიდი წარმატებანი მოიპოვეს მშვიდობიანი მშენებლობის ყველა დარგში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მონაცემებით, რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია დეკემბრის დამლევს 40,5 პროცენტით გადააჭარბებს 1950 წლის დონეს. განსაზოგადოებული სექტორის წილი მრეწველობაში 81 პროცენტამდე გადიდდა. კაპიტალდაბანდებათა ოდენობა 1952 წელს ერთიორად გადიდდა 1950 წელთან შედარებით. რესპუბლიკაში 1952 წელს მწყობრში ჩადგა ბევრი ახალი სამრეწველო საწარმო.

რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები ახალ წელს ეგებებიან შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, საწარმოო გეგმების ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაჩაღების ვითარებაში.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. 1952 წელს ნათესმა ფართობმა მიაღწია 1939 წლის ოდენობას, მოსავალი ჰექტარზე უდრის 1934-1938 წლების საშუალო მოსავალს. 1950 წელთან შედარებით მარცვლეულის წარმოება გადიდდა 120 პროცენტამდე, შაქრის ჭარხლისა — 109 პროცენტამდე. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ამავე პერიოდში გადიდდა 110 პროცენტამდე, ხოლო ღორის სულადობა — 140 პროცენტამდე.

წელს რესპუბლიკაში გლეხთა ინიციატივით შეიქმნა 1.335 საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლებიც 13.500 გლეხურ მეურნეობას აერთიანებენ.

ამაღლდა რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონე. მარტო სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში ამა წლის პირველი 9 თვის მანძილზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიყიდა 3-ჯერ მეტი ხორცი და ხორცის პროდუქტები, 72 პროცენტით მეტი თევზი და თევზის პროდუქტები, 51 პროცენტით მეტი ერბო-კარაქი.

მშრომელთა საჭიროებისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვას მკაფიოდ მოწმობს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის უდიდესი მასშტაბი. მარტო ამ დღეებში ბერლინელ მშრომელთა 1.148 ოჯახმა მიიღო ახალი კეთილმოწყობილი ბინები სტალინის სახელობის ხეივანზე აგებულ სახლებში.

სიხარულით ეგებებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი ახალ, 1953 წელს, რომელიც კიდევ უფრო დიდებულ პერსპექტივებს უსახავს მათ. სახალხო პალატის მიერ ამას წინათ მიღებული სახალხო-სამეურნეო გეგმა რესპუბლიკის შემდგომი მშეიდობიანი მშენებლობისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პროგრამაა.

სულ სხვა სურათია დასავლეთ გერმანიაში. 1952 წელი დასავლეთ გერმანიის მოსახლეობისათვის იყო რემილიტარიზაციის გაძლიერებისა და მატერიალური მდგომარეობის გაუარესების წელი. ბონის ხროვამ ამ წელს ხელი მოაწერა სეპარატულ სამხედრო ხელშეკრულებებს, რომელთა მიზანია გერმანიის გათიშვის გაღრმავება და მისი დასავლეთი ნაწილის შეყვანა აგრესიულ იმპერიალისტურ ბლოკში.

1952 წელს დასავლეთ გერმანიის მუშების ხელფასი იყო უმუშევრობა და სიღატაკე — კაპიტალისტური სისტემის მუდმივი თანამგზავრები. დასავლეთ გერმანიის დპა-ს საგაზეთოს ცნობითაც კი, მიმდინარე წლის ნოემბრის მეორე ნახევარში ნოემბრის დამდეგთან შედარებით უმუშევართა რიცხვი 130.699-ით გადიდდა.

მძიმეა აგრეთვე დასავლეთ გერმანელი გლეხის ხვედრი. ოფიციალური ცნობების თანახმად, 1.124.237 გლეხურ მეურნეობას აქვს 0,5-დან 5 ჰექტარამდე მიწა. ამავე დროს 14.414 მემამულის მეურნეობა ფლობს 100 და მეტ ჰექტარს თვითეული.

ახალგაზრდობის ცხოვრების მძიმე პირობების შედეგად დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში იზრდება ახალგაზრდობის მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დასავლეთ ბერლინში 1949 წელს პოლიციამ დააკავა 2.257 ახალგაზრდა დამნაშავე, 1951 წელს მათი რიცხვი 4.149-მდე გადიდდა, ხოლო მიმდინარე წელს მარტო ნოემბრამდე — 3.432-მდე.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას კარგს არაფერს უქადის მოახლოებული 1953 წელიც. ბონის „კანცლერმა“ აღინაუერმა თავის საშობაო გამოსვლაში გამოაცხადა, რომ ახალ წელსაც მისი მთავარი „საზრუნავი“ იქნება სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია, ე. ი. ანტიხალხური სამხედრო პოლიტიკის გაგრძობა, ხალხის ცხოვრების პირობებსა და პოლიტიკურ უფლებებზე შეტევის გაძლიერება.

ეგებებიან რა ახალ, 1953 წელს, დასავლეთ-გერმანელ პატრიოტებს, მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის მეთაურობით, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისა და გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის.

იაპონიაში აღშფოთებული აზიან ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატორული პოლიტიკით

ნიუ-იორკი, 25 დეკემბერი. (საკდესი). იორკის (პენსილვანიის შტატი) „გაზეტ ენდ დეილში“ გამოქვეყნებულია ოვერსის ნიუს სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტის მარტინის ცნობა, რომ იაპონიის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიაში მათი ოფიციალური წარმომადგენლების დიქტატორული პოლიტიკით.

„იაპონელები, — ნათქვამია კორესპონდენციაში, — ძლიერ უკმაყოფილონი არიან, რომ ამერიკას ელჩი მერფი აშიარად მოქმედებს უფრო როგორც უმაღლესი კომისარი, და არა როგორც მეგობრული ქვეყნის ელჩი“. ისინი აკრიტიკებენ გენერალ კლარკის შტაბს იმ „უხეში ზეგავლენისათვის“, რომელსაც ახდენს იგი იაპონიის მთავრობაზე იაპონიის ხელახალი შეიარაღების საკითხში.

იაპონის საზოგადოებრიობა, წერს მარტინი, სასტიკ უკმაყოფილებას გამოთქვამს „საზღვაო თავდაცვის ზონის“ შექმნის გამო, რომლის ფარგლებშიც აკრძალული აქვთ შესვლა იაპონიის თევზსაჭერ გემებს.

სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატი

25 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

გროსმაისტერი ბოლესლავსკი თამაშობს განუხლებლად დანებდა არონინს, ხოლო ბივშევი — სუეტინს, .სმისლოვ — ელერსის პარტიაში კერესმა 56-ე სვლაზე დამარცხებულად ცნო თავი. გროსმაისტერ გულერისა და გოლდენოვის პარტია ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე გოლდენოვ — ილივიცკის, არონინ — სმისლოვის, კონსტანტინოპოლსკი — კანის, ლიპნიცკი — ბრონშტეინის, არონინ — კერესის შეხვედრები. სუეტინ — მოისეევის პარტია გადადებული იყო ისეთ მდგომარეობაში, სადაც სუეტინს რამდენადმე უკეთესი პოზიცია ჰქონდა. ხანგრძლივი მანევრირების შემდეგ თეთრებმა მოამზადეს პაიკებით პოზიციის გარღვევა ორივე ფლანგზე. მოისეევმა ვერ მოიგერია მოწინააღმდეგის იერიში და მალე დაკარგა პაიკი. ეტლების დაბოლოებაში ტულელმა ოსტატმა მშვენივრად გამოიყენა თავისი უპირატესობა და 112-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია. ლიპნიცკი — კონსტანტინოპოლსკის პარტიაში შავებმა მალე ძლიერი იერიში მიიტანეს, რამაც ლიპნიცკი აიძულა დანებებულიყო.

მოისეევ — ბოტვინიკის პარტიაში მსოფლიოს ჩემპიონმა შესწირა გამსვლელი პაიკი, დაფის კუთხეში მოაქცია მეფე და საშიში კომბინაციური მუქარა შეუქმნა. შემდეგ მოისეევი იძულებული გახდა მიეცა ხარისხი და პაიკი. 56-ე სვლაზე ეს პარტია კვლავ გადაიდო.

გათამაშებულ იქნა სიმაგინ — კორჩნოის მე-16 ტურში გამოტოვებული პარტია, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა.

წამყვან მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: გროსმაისტერ ტაიმანოვს აქვს 12,5 ქულა, გროსმაისტერ ბოტვინიკს — 11 ქულა და ერთი დაუმთავრებელი პარტია. (საკდესი).

სოფლის ფანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

თბილისში დამთავრდა პირად-გუნდური შეჯიბრება ტანვარჯიშში საქართველოს ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ პირველობისათვის. ჩემპიონატი აღინიშნა სოფლის ტანმოვარჯიშეთა მაღალი სპორტული შედეგებით. გამოვლინებულია ტანმოვარჯიშეთა ახალი კადრები. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო თბილისისა და ქუთაისის ოლქების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 32-მა სპორტსმენმა ქალმა და ვაჟმა.

წარმატებას მიაღწია თბილისის ოლქმა, რომელსაც შეჯიბრებაში გამოყვანილი ჰყავდა ტანმოვარჯიშეთა 2 კოლექტივი. გუნდურ ჩათვლაში თბილისის ოლქის მეორე გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ქუთაისის ოლქის სპორტსმენთა კოლექტივი, მესამეზე — თბილისის ოლქის პირველი გუნდი.

პირადი პირველობის გათამაშებაში ქალთა შორის საქართველოს ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო ხაზოგადოება „კოლმეურნის“ ჩემპიონი გახდა ქუთაისის ოლქის ტანმოვარჯიშე ე. კალმახელიძე, რომელმაც ექვსჭიდში შეაგროვა 57,05 ქულა. ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ოლქის წარმომადგენელმა ვ. კულულაშვილმა, რომელმაც ღერძზე, ორძელზე, რგოლებსა და ტაიჭზე ვარჯიშში, აგრეთვე ხტომასა და თავისუფალ ვარჯიშში შეაგროვა 57,40 ქულა.

მომავალი წლის სასპორტო ღონისძიებანი

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დამტკიცა რესპუბლიკური სასპორტო-მასობრივ ღონისძიებათა 1953 წლის კალენდარული გეგმა.

საქართველოს 1953 წლის სასპორტო ღონისძიებათა კალენდარი მოიცავს შეჯიბრებებს სპორტის 30 სახეობაში — მძლეოსნობაში, კლასიკურ ჭიდაობაში, ტანვარჯიშში (სპორტული, მხატვრული, აკრობატიკა), კალათბურთში, ჭადრაკში, ფეხბურთში, ველოსპორტში და სხვ.

მომავალი წლის სასპორტო სეზონი იხსნება სათხილამურო ასპარეზობით. 3-დან 8 იანვარამდე ბაკურიანში გაიმართება საბჭოთა კავშირის უძლიერეს სლალომისტთა შეხვედრები. აქვე 17-დან 22 იანვრამდე მოეწყობა საქართველოსა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების მოთხილამურეთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება.

პრემიერა რუსთაველის სახელობის თეატრში

რუსთაველის სახელობის თეატრი 27 დეკემბერს მაყურებლებს უჩვენებს ბორის პრემიერას — პ. მალიარევსკის პიესას „ქარიშხლის წინ“.

პიესის დადგმა ეკუთვნის ახალგაზრდა რეჟისორს მ. თუმანიშვილს, მხატვრულად გაფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სტალინური პრემიის ლაურეატმა ფ. ლანია-შვილმა, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. გოკიელმა.

სპექტაკლში მონაწილეობენ სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. აფხაიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები: ა. თოიძე, ნ. ლაფაჩი, მ. ჩიხლაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ნ. მესხიშვილი, ა. აფხაიძე, გ. კიკნაძე, დ. ხუციშვილი, სტალინური პრემიის ლაურეატები: მ. ჩახავა და ვ. დოლიძე, მსახიობები: ე. ძანჯგალაძე, მ. გეგეჭკორი, თ. თარხნიშვილი, ლ. ტყავაძე და სხვები.

მოწინავე კლუბი

მნიშვნელოვნად გააცხოველა მუშაობა საჭოკობინკავშირის მიასნიკოვის სახელობის კლუბმა, რომლის კაპიტალური რემონტი და კეთილმოწყობა ახლახან დამთავრდა. კლუბში ფართოდ არის გაშლილი წრეების მუშაობა. აქ შექმნა ჭრა-კერვის შემსწავლელთა წრე, რომელშიც გაერთიანებულია 48 მსმენელი. კარგად მუშაობენ მომღერალთა, მეჩონგურეთა, ქორეოგრაფიული, ლიტერატურული, დრამატული, ჭადრაკისა და ფოტომოყვარულთა წრეები.

ამას წინათ აქ მოეწყო კოოპინკავშირის სისტემის კულტსაბჭოს თავმჯდომარეების, კედლის გაზეთების რედაქტორებისა და სარედაქციო კოლეგიების წევრთა ერთთვიანი სემინარი. სემინარის მუშაობაში ჩაბმული იყო 68 კაცი. მოსმენილ იქნა ლექციები პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ი. ბ. სტალინის ახალი გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესახებ, აგრეთვე სხვა საკითხებზე. სემინარმა კარგი შედეგი გამოიღო. კოოპინკავშირის სისტემის არტელებსა და საწარმოებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კულტსაბჭოების, ბიბლიოთეკების, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების მუშაობა.

ა. ცაგარლის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

ორშაბათს, 29 დეკემბერს, მწერალთა კავშირის კლუბში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი და საქართველოს თეატრალური საზოგადოება მართავენ დრამატურგ ა. ცაგარლის გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს.

საღამოს გახსნის სტალინური პრემიის ლაურეატი პოეტი ი. გრიშაშვილი. მოხსენებას ა. ცაგარლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხავს მწერალი შ. დადიანი. სიტყვებით გამოვლენ მწერლები, მსახიობები, ხელოვნების მუშაკები.

მასწავლებელთა დახელოვნების კურსები

ხაშური. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა ქალაქ ხაშურში გახსნა კლასის ხელმძღვანელებისა და დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები, სადაც მუშაობისაგან მოუწყვეტლივ კვალიფიკაციას იმაღლებს 105 მასწავლებელი.

მასწავლებელთა დახელოვნების კურსები უზრუნველყოფილია კვალიფიციური ლექტორებით.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

საქართველოს რადიოგადაცემათა

28 დეკემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით. 06.45 — დუნაევსკის სიმღერები; 10.30 — საუბარი „სასიცოცხლო ინტერესების ერთიანობა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის საფუძველია“; 10.50 — ლისტის მეთორმეტე რაფსოდია; 12.15 — კონცერტი მერი ნაკაშიძის შესრულებით; 12.45 — კონცერტი რიხტერის შესრულებით; 16.00 — ლიტერატურული ალმანახი; 16.40 — ქართული სუფრული და საცეკვაო სიმღერები; 17.00 — რადიოჟურნალი „მიკროფონით ჩვენს რესპუბლიკაში“; 17.30 — ნორჩ რადიომსმენელთა თეატრი. **რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით.** 20.30 — საერთაშორისო მიმოხილვა; 20.50 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 23.00 — საესტრადო მუსიკის კონცერტი; 00.05 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

27 დეკემბერს	დ. თორ აძე—**გორდა**
28 დეკემბერს	დღის 12 საათზე ვ. დოლიძე — **ქეთო და კოტე** საღამოს ნ. რიმსკი-კორსაკოვი — **მეფის საცოლე** (ახალი დადგმა)

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თეატრებში

მარჯანიშვილის სახელობის — ცეკვის მასწავლებელი; **სომხური დრამის** — ხევსბერი გოჩა (პრემიერა); **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი 29, 10 ს.), გარდატეხა (აბონემენტი 43, 4 ს. 30